ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წილკნის საჯარო სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ქეთევან ბოტკოველი -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი.

წევრ(ებ)ი:

მაია ბუაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ გეგმიური

☐ არაგეგმიური

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წილკნის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	236087649

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი წილკანი
ფაქტობრივი მისამართი	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი წილკანი
საფოსტო ინდექსი	3319
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/1271
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	tsilkani@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	577640930

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 3 25 0001226262, 25.09.2025
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	2025 წლის 22-23 ოქტომბერი

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 25 სექტემბრის №MES 3 25 0001226262 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს - თავმჯდომარე ქეთევან ბოტკოველი (ზოგადი განათლების ხარისხის

უზრუნველყოფის ექსპერტი) და წევრი მაია ბუაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი) — დაევალა ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრული "ა", "გ" და "დ" ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისობის შეფასება გეგმიური მონიტორინგის ვიზიტით, სსიპ – მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წილკნის საჯარო სკოლაში (ს/კ: 236087649) 2025 წლის 22–23 ოქტომბერს.

ბრძანების შესაბამისად, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა განახორციელეს ადგილზე შეფასების პროცესი სსიპ – მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წილკნის საჯარო სკოლაში. ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების უზრუნველსაყოფად, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განსაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, გამართა რამდენიმე ონლაინშეხვედრა, სადაც შეთანხმდა შეფასების მიდგომა და დაზუსტდა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი. აღნიშნული გეგმა წინასწარ გადაეგზავნა დაწესებულებას და ვიზიტი განხორციელდა სწორედ ამ გეგმის შესაბამისად.

ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტებმა განახორციელეს შეხვედრები სკოლის ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან და მოსწავლეებთან, ასევე დაათვალიერეს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი და შეაფასეს დაწესებულების ფაქტობრივი მდგომარეობა. შეფასების პროცესი წარიმართა თანამშრომლობის და კეთილგანწყობის გარემოში - დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტთა საქმიანობას და უზრუნველყო შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენა. დასკვნით ეტაპზე, ვიზიტის შედეგების პრეზენტაციისას, ექსპერტებმა წარმოადგინეს დოკუმენტური ანალიზისა და გასაუბრებების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები, რომლებზეც მიეწოდათ ინფორმაცია დაწესებულების წარმომადგენლებს ვიზიტის დასრულებისას.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
450	381

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დასკვნის პროექტის ფარგლებში ინდიკატორი *3.4.1.1.* შეფასდა როგორც "შეუსაბამო" თუმცა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთან 2025 წლის 25 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულება N ე-465 (საექსპერტო მომსახურების შესახებ) და წერილი, რომლითაც სკოლა განმარტავს, რომ მიმდინარე წლის 5 ნოემბერს სკოლაში ვიზიტზე იმყოფებოდა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტი, რომლის განმარტებით დასკვნა მომზადდება უახლოეს პერიოში. სკოლამ წარმოადგინა ასევე სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად შესრულების ვადად განსაზღვრულია 2026 წლი 01 აპრილი, ხოლო ფინანსურ წყაროდ სკოლის ბიუჯეტი. გამომდინარე აღნიშნულიდან ინდიკატორი (3.4.1.1.) შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება".

ასევე აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა სკოლის არგუმენტირებული პოზიციაში მოყვანილი ფაქტი დასკვნის პროექტში არსებულ ტექნიკურ ხარვეზთან დაკავშირებით **და** ინდიკატორი 3.4.1.6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას და ინდიკატორი 3.4.1.7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები შეაფასა როგორც "შესაბამისი".

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2	☒ შეესაბამება

პერსონალის განვითარება	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	***ხარვეზი***
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***ხარვეზი***
ინდიკატორი N ...		
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***ხარვეზი***
ინდიკატორი N....		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ	სკოლამ უზრუნველყოს შენობის უსაფრთხო ექსპლუატაციასთან დაკავშირებით, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის მოპოვება, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში -01.04.2026.

	გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევები

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N1.1.1.1.	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს	**რჩევა:** იმისათვის, რომ სკოლამ ხედვა გახადოს მიზანმიმართული და პროგრესის მონიტორინგისთვის ეფექტურად გამოსაყენებელი, სასურველია, მასში განისაზღვროს დროითი ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც სკოლა მიზნად ისახავს შესაბამისი შედეგების მიღწევას. დროითი ჩარჩოს დამატება საშუალებას მისცემს სკოლას: • განახორციელოს მიზნების ეტაპობრივი შეფასება; • მკაფიოდ განაწილოს პასუხისმგებლობები; • გააუმჯობესოს როგორც დაგეგმვის, ისე გავრცელებისა და განხორციელების პროცესი.
ინდიკატორი N1.1.1.2.	სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე	**რჩევა:** სასურველია მისიასა და ხედვაში სკოლამ მცირე დამატებითი ფორმულირებებით კიდევ უფრო გაუსვას ხაზი საკუთარ როლს უსაფრთხო და მხარდამჭერი გარემოს უზრუნველყოფის საქმეში.

	ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს	
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N.3.1.1.	**სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**	**რჩევა:** სასურველია სკოლამ შეიმუშაოს სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობისა და დისციპლინური კომიტეტის ფუნქციებისა და უფლებამოსილების სრულყოფილი ოფიციალური დოკუმენტი. ეს უზრუნველყოფს თითოეული ერთეულის როლის გამჭვირვალობას, ორგანიზაციული პროცესების ეფექტიან კონტროლს და მონიტორინგის შესაძლებლობის სრულყოფას.
ინდიკატორი N.3.1.2.	**სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**	**სკოლას მიეცა რჩევა,** დოკუმენტურად დააფიქსიროს პერსონალის შეფასების პროცესი და მისი შედეგები, რაც დაეხმარება: • ადამიანური რესურსების მართვის სისტემურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფაში; • პერსონალის შეფასების შედეგების ანალიზზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებაში; • თანამშრომელთა პროფესიული განვითარების გეგმის უფრო მიზნობრივად დაგეგმვაში.
ინდიკატორი N.3.1.2.	**პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**	**რჩევა:** საურველია სკოლამ შექმნას გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებისა და კოლეგიალური დაკვირვების დოკუმენტირების მექანიზმი, რომელიც მოიცავს შესაბამის ფორმებს, ჩანაწერებსა და შედეგების ანალიზს. აღნიშნული პრაქტიკა გააძლიერებს პროფესიული განვითარების პროცესს და ხელს

		შეუწყობს სწავლების ხარისხის სისტემურ შეფასებასა და გაუმჯობესებას.
ინდიკატორი N.3.1.2.	სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი	**რჩევა:** სასურველია სკოლამ წახალისების მექანიზმი უფრო ფორმალიზებულ სახეს მიანიჭოს — განსაზღვროს თანამშრომელთა წახალისების კრიტერიუმები, პერიოდულობა და დაფიქსირების ფორმა (მაგალითად, წლიური შეჯამების ან შიდა დებულების სახით). ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს წახალისების პროცესის თანმიმდევრულობას, გამჭვირვალობასა და ეფექტიანობას, რაც დადებითად აისახება როგორც პროფესიულ მოტივაციაზე, ისე შიდა მართვის კულტურაზე.
ინდიკატორი N.3.2.1.2	პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად	**რჩევა:** სასურველია, სკოლამ პრევენციული მიზნებისთვის განსაზღვროს პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული შესაძლო რისკები და შეიმუშავოს მონიტორინგის და გაკვეთილებზე დასწრების გეგმა. აღნიშნული ხელს შეუწყობს სკოლის პერსონალის და მასწავლებელთა პრაქტიკის სისტემურ ანალიზსა და მიზნობრივი მხარდაჭერის დაგეგმვას.
ინდიკატორი N.3.2.1.4	სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან	**რჩევა:** სასურველია, რომ ახალი თანამშრომლის სოციალიზაციის თითოეული ეტაპი დოკუმენტურად აისახოს შესაბამის ფორმებში ან ანგარიშებში (მაგალითად, მენტორის შეფასება, უკუკავშირი ადაპტაციის პერიოდიდან და სხვა). ეს პრაქტიკა ხელს შეუწყობს ადაპტაციის პროცესის მონიტორინგს, ეფექტიან ანალიზსა და მომავალში სისტემური გაუმჯობესების დაგეგმვას.
ინდიკატორი N.3.3.2.1	სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების,	**რჩევა:** სასურველია სკოლამ შეიმუშაოს ფორმალური სისტემა უკუკავშირის მიღებისა და რეაგირების პროცესისთვის, რაც ადმინისტრაციას საშუალებას მისცემს ეფექტურად გაითვალისწინოს

	უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები	მშობელთა მოსაზრებები, საჭიროებები და ინიციატივები, გააძლიეროს მართვის პროცესების გამჭვირვალობა და გაზარდოს საზოგადოების ჩართულობა.
ინდიკატორი N.3.4.1.8	**სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**	**რჩევა:** სასურთველია უსაფრთხოების შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება და უსაფრთხოების ინციდენტების რეგისტრაციისა და ანალიზის ჟურნალის დანერგვა. აღნიშნული ნაბიჯები ხელს შეუწყობს პრევენციული ღონისძიებების უფრო მიზნობრივ დაგეგმვას, პროცესების გამჭვირვალობის ზრდას და უსაფრთხოების მექანიზმების ანგარიშვალდებულების განმტკიცებას.
ინდიკატორი N.3.5.1.2	**დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**	**რჩევა:** საგანმანათლებლო რესურსების ეფექტიანი, სამართლიანი და უსაფრთხო გამოყენების უზრუნველსაყოფად სასურველია, სკოლამ შეიმუშავოს შესაბამისი მექანიზმების დოკუმენტი, სადაც განისაზღვრება რესურსების ტიპები, გამოყენების წესები და პასუხისმგებლობათა განაწილება. აღნიშნული ხელს შეუწყობს რესურსების მართვის გამჭვირვალობასა და ორგანიზაციული პროცესების ეფექტიანობას.
ინდიკატორი N.3.6.3.3.	**საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**	**რჩევა:** სასურველია, უკუკავშირის მიღებისა და გამოყენების პრაქტიკა დოკუმენტურად აღირიცხოს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს როგორც მიღებული ინფორმაციის ანალიზის, ასევე მასზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების გამჭვირვალობა. მნიშვნელოვანია ასევე განისაზღვროს, როგორ გამოიყენება ეს ინფორმაცია სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული პრაქტიკა ხელს შეუწყობს იმ მექანიზმების გამოკვეთას, რომლითაც სკოლა რეაგირებს საზოგადოებისგან მიღებულ მოსაზრებებზე.

სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N.4.1.1.3.	მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება	**რჩევა:** საჭიროების შემთხვევაში მშობლებისგან მოიპოვონ თანხმო ფოტოებისა და ვიდეომასალების საჯაროდ გამოქვეყნებისათვი შესაბამისი თანხმობის ფორმების შევსების გზით.
ინდიკატორი N.4.2.1.3.	მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად	**რჩევა:** დოკუმენტურად განისაზღვროს რემედიაციის პროგრამის მიზნები, პროცედურები და შეფასების ფორმატები. ასევე სასურველია, პროგრამა მოიცავდეს იმ მოსწავლეებზეც ზრუნვას, რომლებიც სწავლის პროცესში აწყდებიან სხვადასხვა სირთულეს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებების მხარდაჭერა.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი

ინდიკატორი N1.1.1.5	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;	სკოლამ 07.09.2023წ.-30.11.2023წ. პერიოდში უზრუნველყოს სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების საჯაროდ ხელმისაწვდომობა .	შერულებულია
ინდიკატორი N1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	სკოლამ 3.07.2023წ.-30.11.2023წ. პერიოდში უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის შემუშავება	შერულებულია
ინდიკატორი *N3.1.2.3.*	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;	სკოლამ 07.09.2023წ.-30.10.2023წ. პერიოდში უზრუნველყოს პედაგოგების მიერ ნასამართლობისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობების წარმოდგენა.	შერულებულია
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებასა და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლამ 03.07.2023წ.-31.12.2023წ. პერიოდში უზრუნველყოს შესაბამის სფეროში აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის წარმოდგენა.	ნეწილობრივ. სკოლამ წარმოადგინა მიწერილობა
ინდიკატორი 3.4.1.5.	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;	სკოლამ 20.09.2023-30.10.2023 პერიოდში უზრუნველყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის შემუშავება.	შესრულებულია
ინდიკატორი 3.4.1.6.	სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;	სკოლამ 20.09.2023წ.-30.10.2023წ. პერიოდში უზრუნველყოს მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმებისა და ინფორმაციული	შესრულებულია

		უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევაში სწრაფი რეაგირების პროცედურების დოკუმენტურად შემუშავება .	
ინდიკატორი 3.6.3.1	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;	სკოლამ 01.09.2023წ.-30.11.2023წ. პერიოდში უზრუნველყოს ვებ გვერდის შექმნა.	შესრულებულია
ინდიკატორი 3.6.3.4	სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;	სკოლამ 01.09.2023წ.-30.11.2023წ. პერიოდში უზრუნველყოს ვებ გვერდის შექმნა.	შესრულებულია
ინდიკატორი **3.6.3.5**	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო	სკოლამ 01.09.2023წ.-30.11.2023წ. პერიოდში უზრუნველყოს ვებ გვერდის შექმნა, რომელზეც განთავსებული იქნება ინფორმაცია სკოლის შესახებ.	შესრულებულია

	გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.		
ინდიკატორი 4.2.2.1	კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;	სკოლამ 20.09.2023წ.-30.10.2023წ. პერიოდში უზრუნველყოს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობა მოსწავლეთათვის.	შესრულებულია

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მისიაა – „მოსწავლეთა უნარების გამოვლენა და განვითარება; კრიტიკულად მოაზროვნე, შემოქმედი, კომუნიკაბელური, კანონმორჩილი, ეროვნული ინტერესების დამცველი მოზარდის ფორმირება, რათა შეძლონ სამყარო უკეთესი გახადონ" მოცემული მისია ეფუძნება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და მათ ძირითად პრინციპებს.

მისიასთან დაკავშირებული ძირითადი მიმართულებები და მათი შესაბამისობა ეროვნულ მიზნებთან ასე განისაზღვრება:

1. **უნარების გამოვლენა და განვითარება** - თავსებადია ეროვნული მიზნებთან, რომლებიც განათლებას განიხილავს როგორც ბავშვის ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და უნარების განვითარების საშუალებას.
2. **კრიტიკულად მოაზროვნე და შემოქმედი მოსწავლე** - გამოხატავს მიზანს, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითი მიდგომისა და პრობლემების გადაჭრის უნარების განვითარებას.
3. **კომუნიკაბელურობა** - შეესაბამება ეროვნულ მიზანს, რომელიც ხაზს უსვამს სოციალური და კომუნიკაციური უნარების, თანამშრომლობისა და თვითგამოხატვის შესაძლებლობების განვითარებას.
4. **კანონმორჩილება და ეროვნული ინტერესების დაცვა** - უკავშირდება მიზანს, რომელიც მოიცავს მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის, სამართლებრივი ცნობიერებისა და ეროვნული ღირებულებების ჩამოყალიბებას.
5. **სამყაროს უკეთესობისკენ შეცვლა** - შეესაბამება ეროვნულ მიზანს, რომელიც ორიენტირებულია სოციალური პასუხისმგებლობის, გარემოს დაცვისა და აქტიური მოქალაქეობის განვითარებაზე.

სკოლის ხედვა – „სკოლა მიმართულია თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების, პოტენციალისა და განსაკუთრებული ნიჭის გამოვლენასა და განვითარებაზე; ხელს უწყობს თითოეული ბავშვის წარმატებას და საზოგადოებაში დამკვიდრებას, სკოლისა და ოჯახის კონსტრუქციული თანამშრომლობისა და პასუხისმგებლობის გადანაწილების გზით" - ეფუძნება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებს, განსაკუთრებით:

- თითოეული ბავშვის ინდივიდუალური განვითარების მხარდაჭერა;
- ოჯახისა და სკოლის კოოპერაციის განვითარება;
- მოსწავლეთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა;

- საზოგადოების ინტეგრაცია და აქტიური მოქალაქეობა.

ღირებულებებია:

პატრიოტიზმი, სამართლიანიბა, ურთიერთპატივისცემა, პასუხისმგებლობა, თანამშრომლობა და ტოლერანტობა

წარმოდგენილი მისია და ხედვა ასახავს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებს და მათ გარდაქმნის უფრო კონკრეტულ, პრაქტიკულ და მიზნობრივ ელემენტებად, რაც ხელს უწყობს სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელებას.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ სკოლამ გადაწყვიტა ახალი მისიისა და ხედვის შემუშავება, რომლებშიც უფრო სრულად აისახება ახალი "ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები". აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია სასკოლო საზოგადოების ყველა ნაწილის ჩართულობით და უზრუნველყოფს პროცესის კომპლექსურობასა და სტრუქტურირებულობას.

რჩევა: იმისათვის, რომ სკოლამ ხედვა გახადოს მიზანმიმართული და პროგრესის მონიტორინგისთვის ეფექტურად გამოსაყენებელი, სასურველია, მასში განისაზღვროს დროითი ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც სკოლა მიზნად ისახავს შესაბამისი შედეგების მიღწევას.

დროითი ჩარჩოს დამატება საშუალებას მისცემს სკოლას:

- **განახორციელოს მიზნების ეტაპობრივი შეფასება;**
- **მკაფიოდ განაწილოს პასუხისმგებლობები;**
- **გაუმჯობესოს როგორც დაგეგმვის, ისე გავრცელებისა და განხორციელების პროცესი.**

ინდიკატორის (1.1.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მიერ წარმოდგენილ მისიასა და ხედვაში განსაზღვრულია საკუთარი როლი სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცის შესაქმნელად. კერძოდ, პიროვნული განვითარება - სკოლის მისიასა და ხედვით სრულად არის ასახული. მართალია მისია/ხედვაში უსაფრთხო სოციო-კულტურული სივრცე - არ არის პირდაპირ ხაზგასმული, მაგრამ ნაწილობრივ იმპლიციტურად ჩანს. რამდენადაც სკოლა მუშაობს ახალ მისიასა და ხედვაზე, **სკოლას მიეცა რჩევა - სასურველია მისიასა და ხედვაში სკოლამ მცირე დამატებითი ფორმულირებებით კიდევ უფრო გაუსვას ხაზი საკუთარ როლს უსაფრთხო და მხარდამჭერი გარემოს უზრუნველყოფის საქმეში.**

ამასთან, სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუსა და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლის მისიისა და ხედვის შესაბამისად შემუშავებულია არაფორმალური განათლების მხარდამჭერი მექანიზმები. კერძოდ, სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებაზე; შეიმუშავებს შესაბამის

აქტივობებს მოსწავლეებში სირთულეების დაძლევის, მიზანდასახულობის, თვითრეალიზაციის გაღრმავებისა და მოტივაციის ასამაღლებლად; სკოლა მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზეა ორიენტირებული, თითოეულ მოსწავლეს აქვს სიტყვის თავისუფლად გამოხატვის საშუალება, უმრავლესობა აქტიურად არის ჩართული სასკოლო თუ სკოლისგარეშე ღონისძიებებში; რაც დასტურდება სკოლის მიერ განხორციელებული აქტივობებითა და სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობით. სკოლაში მოქმედებს წესებისა და ნორმების სისტემა, რაც ასახულია სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტებში.

ინდიკატორის (1.1.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლამ გაითვალისწინა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნით გაცემული რეკომენდაცია, რომელიც შეეხებოდა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შემუშავების საჭიროებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სკოლასთან ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ ახალი მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისთვის შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც ჩართულნი იყვნენ მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.

სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლების გამოკითხვის მიზნით, ჯგუფის მიერ შეიქმნა კითხვარი, რომელიც გადაეგზავნა სკოლაში ყველა წევრს. მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებით, სამუშაო ჯგუფს შემუშავებული აქვს მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტები, რომლებიც განსახილველად წარედგინება სამეურვეო და პედაგოგიურ საბჭოებს.

ინდიკატორის (1.1.1.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის ფილოსოფიაზე მომუშავე ჯგუფს აქვს შემუშავებული მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტები, რომლებიც წარდგენილია სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიურ საბჭოსთან განხილვისთვის. საბოლოო ეტაპზე, სასკოლო საზოგადოება შეთანხმდება პროექტის საბოლოო ვერსიაზე, რის შედეგადაც სკოლა მიიღებს სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარებულ დოკუმენტს.

ინდიკატორის (1.1.1.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლამ გაითვალისწინა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის (2023) რეკომენდაცია, რომელიც შეეხებოდა სკოლის ფილოსოფიის საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. შესაბამისად:

- დოკუმენტი განთავსებულია სკოლის ფოიეში თვალსაჩინო ადგილზე;
- ხელმისაწვდომია სკოლის ვებ-გვერდზე.

სკოლა გეგმავს ახალად შემუშავებული სკოლის ფილოსოფია ასევე საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადოს სასკოლო საზოგადოებისა და ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

ინდიკატორის (1.1.1.5.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება, სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის წილკნის საჯარო სკოლა, შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 5 სექტემბრის N448 ბრძანებით დადგენილ სტატუსს.

ინდიკატორის (1.1.1.6.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი (07.10.2025წ.ოქმი N2);
- სკოლის სტრატეგიული დოკუმენტების-მისია, ხედვა, ღირებულებები, სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების გეგმების-შექმნის მეთოდოლოგია;
- სკოლის საჭიროების დადგენისა და სტრატეგიული განვითარების შემსწავლელი გუნდის შექმნის შესახებ ბრძანება N2-63(03.07.2023წ.);
- სკოლის ფილოსიფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი (05.11.2023წ.ოქმი N1);
- სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მიზნით შემუშავებული კითხვარები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს:

- სკოლის საჭიროებების შესწავლისა და დოკუმენტის შემუშავების მექანიზმებს;
- ჩართულობის, გაზიარებისა და საჯაროობის პროცედურებს;
- სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს.

სკოლას შექმნილი ჰყავს სკოლის საჭიროებების დადგენისა და სტრატეგიული განვითარების შემსწავლელი გუნდი, რომლის ორგანიზებით ხორციელდება სკოლის საჭიროებების შესწავლა.

ინდიკატორის (1.2.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობისა და სკოლაში ვიზიტის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლამ გაითვალისწინა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია და უზრუნველყო შესაბამისობის გეგმის მიხედვით გაწერილი აქტივობების შესრულება, კერძოდ, სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის (2023–2030 წწ.) შემუშავება. სტრატეგიულ გეგმაში გათვალისწინებულია შესაბამისი მიზნები და ამოცანები მოცემულ ვადებში, შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუსა და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ ამ ეტაპზე სკოლაში ხორციელდება შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის კორექტირების პროცესი, რომლის ფარგლებში ხდება პრიორიტეტებისა და აქტივობების გადახედვა. აღნიშნულ პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება.

ინდიკატორის (1.2.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა შემუშავდა 2023–2030 წლების სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის საფუძველზე. მისი მომზადების პროცესში სკოლამ იხელმძღვანელა წინა სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანალიზით,

მათ შორის შესაბამისი ანგარიშებითა და SWOT-ანალიზით. დაგეგმვისას ასევე გათვალისწინებულ იქნა გამოვლენილი გამოწვევები და განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები.
ექსპერტთა მიერ დოკუმენტის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლა ორიენტირებულია ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებებზე, როგორიცაა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისთვის მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდა, პერსონალის მართვის პოლიტიკის და პრაქტიკის გაუმჯობესება, ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვა და დასაქმება, წარმატებული პრაქტიკის/ცოდნის და სიახლეების გაზიარების მიზნით, შიდა სასკოლო ტრენინგების დამკვიდრება, სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სხვა. აღნიშნული პრიორიტეტები სრულად შეესაბამება სკოლის სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრულ მიზნებს და ასახავს დაწესებულების მიზანმიმართულ განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომას.
ინდიკატორის (1.2.1.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის მიერ წარმოდგენილ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ასახულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები და ინტერესები, მასში განსაზღვრულია კონკრეტული მიზნები, ამოცანები, შესაბამისი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და შესრულების ვადები. დოკუმენტი შემუშავებულია სკოლის მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად და ეფუძნება არსებული მოთხოვნებისა და საჭიროებების ანალიზს.
ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ამოცანები დეტალურადაა ჩაშლილი კონკრეტულ აქტივობებად, მითითებულია მათი შესრულების ვადები, პასუხისმგებელი პირები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსები. სამოქმედო გეგმის განხილვის საფუძველზე დასტურდება, რომ დოკუმენტში წარმოდგენილი აქტივობები სრულად შეესაბამება სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს და მათი განხორციელება რეალისტურია.
ინდიკატორის (1.2.1.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2025-2025 სასწავლო წლის სამოქმედო-გეგმა;
- სკოლის სტრატეგიული დოკუმენტების-მისია, ხედვა, ღირებულებები, სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების გეგმების-შექმნის მეთოდოლოგია;
- სამეურვეო საბჭოს ოქმიN3,16.09.2025წ.;

- სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმიN1(10.09.2025წ.);
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმიN2(07.10.2025წ.);

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე ირკვევა, რომ სკოლა მონიტორინგად მიიჩნევს სტრატეგიული გეგმის ფარგლებში განსაზღვრული ამოცანების შესრულების პროგრესის შეფასებას. მონიტორინგის პროცესისთვის განსაზღვრულია ანგარიშგების ფორმატი და პერიოდულობა. სტრატეგიული განვითარების გეგმის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების შედეგად სკოლა ახორციელებს შეუსრულებელი ან ნაწილობრივ შესრულებული აქტივობების ანალიზს, აფასებს მათ ეფექტურობას და ადგენს შესაბამის დასკვნებს. მიღებული ინფორმაცია გამოიყენება მომდევნო წლის დაგეგმვის პროცესში, რაც ხელს უწყობს სტრატეგიული მართვის უწყვეტობასა და პროცესების გაუმჯობესებას.

ინდიკატორის (1.2.2.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლა შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშს ახორციელებს სამ (3) წელიწადში ერთხელ და მეშვიდე წელს - შემაჯამებლად. სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირები თითოეულ ეტაპზე ამზადებენ წერილობით ანგარიშს, რომელშიც ასახულია მიღწეული შედეგები და განხორციელებული აქტივობები.

ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი მიმდინარეობს სასწავლო წლის განმავლობაში უწყვეტად, ხოლო სასწავლო წლის დასრულებისას თითოეული მიმართულების პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს შესრულებული აქტივობების შესახებ.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს ამ მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს წინაშე ერთწლიანი გეგმის შესრულების ანგარიში, რომელშიც ასახულია დაგეგმილი მიზნების

მიღწევის დონე, განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობა, ასევე შეუსრულებელი ან ნაწილობრივ შესრულებული აქტივობების ანალიზი და მათი მიზეზები.
სკოლის დირექციასთან ინტერვიუსას აღინიშნა, რომ სასკოლო საზოგადოების მხრიდან უკუკავშირის მიწოდება ამ ეტაპზე შეზღუდულია. შესაბამისად, სკოლა გეგმავს უკუკავშირის უფრო ეფექტური მექანიზმების დანერგვას, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების ჩართულობის ხარისხის ზრდას და სტრატეგიული მართვის პროცესების გაუმჯობესებას.
ინდიკატორის (1.2.2.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის თანახმად, ანგარიშის საჯაროობას უზრუნველყოფს ის, რომ სკოლა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშს წარუდგენს სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიურ საბჭოს. სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია ერთწლიანი(2024-2025 სასწავლო წლის) სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.
ინდიკატორის (1.2.2.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის. აღნიშნული შედეგების ანალიზი სკოლას საშუალებას აძლევს შეაფასოს განხორციელებული საქმიანობების ეფექტიანობა, გამოავლინოს დასახვეწი მიმართულებები და დაგეგმოს შესაბამისი გაუმჯობესების ღონისძიებები.
სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შეფასების შედეგად მიღებული გამოცდილება წარმოადგენს საფუძველს შემდეგი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის ფორმირებისთვის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში სკოლა ახორციელებს არსებითი ცვლილებების შეტანას მოქმედ დოკუმენტებში.
აღნიშნულის დასტურია ისიც, რომ სკოლამ, გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით, დაგეგმა სტრატეგიული გეგმისა და სკოლის ფილოსოფიის კორექტირება, რაც მიზნად ისახავს სკოლის განვითარებისა და ხარისხის მართვის სისტემის კიდევ უფრო დახვეწას.
ინდიკატორის (1.2.2.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის სტრატეგიული დოკუმენტების-მისია, ხედვა, ღირებულებები, სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების გეგმების-შექმნის მეთოდოლოგია;

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანალიზი;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წილკნის საჯარო სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და პირთა ფუნქციები განსაზღვრულია ზოგადი განათლების შესახებ კანონთან შესაბამისობაში.

დაწესებულებაში ფუნქციონირებს ხუთი ძირითადი სტრუქტურული ერთეული:

1. სამეურვეო საბჭო
2. დირექცია
3. პედაგოგიური საბჭო
4. მოსწავლეთა თვითმმართველობა
5. დისციპლინური კომიტეტი

გარდა ამისა, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სკოლაში ჩამოყალიბებულია შვიდი საგნობრივი კათედრა, რაც საგანმანათლებლო პროცესის თემატურად და პროფესიულად ორგანიზებულ მართვას უწყობს ხელს.

საშტატო განრიგისა და EMIS-ის მონაცემების მიხედვით, დირექციის შემადგენლობაში შედიან:

- დირექტორი
- მოადგილე
- ბუღალტერი.

ადმინისტრაციულ და ორგანიზაციულ მართვაში ჩართულნი არიან:

- მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი
- საქმისმწარმოებელი
- საინფორმაციო მენეჯერი
- ბიბლიოთეკარი

სკოლას საშტატო ნუსხით განსაზღვრული ჰყავს ასევე სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში მომუშავე ხელშეკრულებით დასაქმებული კადრები:

- სკოლის ექიმი
- ფსიქოლოგი
- 2 დარაჯი
- 3 დამლაგებელი
- 1 ცეცხლფარეში
- 2 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი

არსებული სტრუქტურული ერთეულებისა და შიდა მართვის სისტემის გამართულად ფუნქციონირების მიზნით სკოლის დირექტორის N2-149 ბრძანებით (2025 წ. 17.09) დამტკიცებულია სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, რომელშიც მკაფიოდ განსაზღვრულია მათი პასუხისმგებლობები და ვალდებულებები.

ინდიკატორის (3.1.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ პოზიციებზე დასაქმებულთა უფლებამოსილებები მკვეთრად გამიჯნულია და დელეგირებულია ისე, რომ არ ხდება მოვალეობების გადაკვეთა ან დუბლირება. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების ეფექტიან მართვას.

იმავდროულად, სკოლამ ვერ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობისა და დისციპლინური კომიტეტის ფუნქციებისა და უფლებამოსილების სრულყოფილი დოკუმენტაცია, რაც ნაწილობრივ ზღუდავს მათი საქმიანობის მონიტორინგის შესაძლებლობას.

რჩევა: სასურველია სკოლამ შეიმუშაოს სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობისა და დისციპლინური კომიტეტის ფუნქციებისა და უფლებამოსილების სრულყოფილი ოფიციალური დოკუმენტი. ეს უზრუნველყოფს თითოეული ერთეულის როლის გამჭვირვალობას, ორგანიზაციული პროცესების ეფექტიან კონტროლს და მონიტორინგის შესაძლებლობის სრულყოფას.

ინდიკატორის (3.1.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის დირექციასთან, ტექნიკურ პერსონალთან და მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- პედსაბჭოს ოქმები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლის პერსონალის მართვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის, სკოლის შინაგანაწესისა და შრომითი ხელშეკრულებების შესაბამისად. სკოლაში მოქმედებს **ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა** (დირექტორის ბრძანება №2-149, 22.04.2024), რომელიც განსაზღვრავს მიზნებს, პრინციპებს, პოლიტიკის როლს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში და პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმებს.

შინაგანაწესში განსაზღვრულია:

- ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დასრულების დრო;
- დასვენების ხანგრძლივობა;
- სამუშაო კვირის ხანგრძლივობა;
- შრომის ანაზღაურების გაცემის წესი და ვადები;
- ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების მინიჭებისა და გამოყენების წესი;
- შრომის პირობების დაცვის წესები;

- წახალისებისა და პასუხისმგებლობის ფორმები და მათი გამოყენების წესი;
- მატერიალური პასუხისმგებლობა;
- განცხადებებისა და საჩივრების განხილვის პროცედურა;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები;
- სკოლაში ჩაცმულობის წესი;
- შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვა;
- სამუშაოსთვის დამახასიათებელი სხვა მოთხოვნები.

შრომითი ხელშეკრულებებით განსაზღვრულია, რომ პერსონალს ევალება სრულად გაეცნოს შინაგანაწესის ყველა წესსა და ნორმას, რაც ხელს უწყობს წესების თანმიმდევრულ აღსრულებას, აძლიერებს პასუხისმგებლობის გრძნობას და პერსონალის ინფორმირებულობას საკუთარი ვალდებულებების მიმართ.

ინდიკატორის (3.1.2.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

ექსპერტთა მიერ სკოლის წარმომადგენლებთან გამართული გასაუბრებისა და დოკუმენტური ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში ადამიანური რესურსების მართვის სისტემა მოიცავს როგორც პრევენციული, ისე ინტერვენციული ხასიათის მექანიზმებს. პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში სკოლას შემუშავებული აქვს ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის შეფასების კრიტერიუმები. სკოლის დირექტორთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ თანამშრომელთა შეფასება ხორციელდება აღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, რაც მიზნად ისახავს ინდივიდუალური სიძლიერეების და პროფესიული განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირებას. აღნიშნული პროცესი საფუძვლად ედება თანამშრომელთა მიზანმიმართულ მხარდაჭერასა და პროფესიული ზრდის ხელშეწყობას.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ ვერ წარმოადგინა დოკუმენტური მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა აღნიშნული შეფასების ფორმალურ განხორციელებას. ამდენად, **სკოლას მიეცა რჩევა, დოკუმენტურად დააფიქსიროს შეფასების პროცესი და მისი შედეგები, რაც დაეხმარება:**

- **ადამიანური რესურსების მართვის სისტემურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფაში;**
- **პერსონალის შეფასების შედეგების ანალიზზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებაში;**
- **თანამშრომელთა პროფესიული განვითარების გეგმის უფრო მიზნობრივად დაგეგმვაში.**

რაც შეეხება **ინტერვენციულ მექანიზმებს**, სკოლის შრომის შინაგანაწესი განსაზღვრავს თანამშრომელთა პასუხისმგებლობებს გამოუცხადებლობისა და დაგვიანების შემთხვევებში. დადგენილია შესაბამისი პროცედურები, რომლებიც მკაფიოდ აწესებს

შეტყობინების ვადებს, ფორმებსა და დისციპლინური რეაგირების მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს შრომითი დისციპლინის დაცვის ეფექტიანობას.

ინდიკატორის (3.1.2.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლა მასწავლებელთა შერჩევის პროცესში ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით", რომელიც განსაზღვრავს მასწავლებლის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ ძირითად ეტაპებსა და პროცედურებს.

სკოლის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით დადგენილია შერჩევის პროცესის ეტაპები, მეთოდები და გადაწყვეტილების მიღების სტანდარტები. აღნიშნული პროცედურები ეფუძნება სამართლებრივად განსაზღვრულ და პროფესიულ პრინციპებს, რაც აუცილებელია გამჭვირვალე, სამართლიანი და თანმიმდევრული შერჩევის პროცესის უზრუნველსაყოფად.

დოკუმენტში ყურადღება ეთმობა იმას, რომ შერჩევის პროცედურები იყოს მკაფიო, შედეგზე ორიენტირებული და მიმართული კვალიფიციური კადრების მოზიდვისკენ, რაც შეესაბამება როგორც სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკას, ისე ადმინისტრაციული მმართველობის საერთო სტანდარტებს.

საკონკურსო დოკუმენტაციისა და ოქმების შესწავლის საფუძველზე დასტურდება, რომ კანდიდატების შერჩევის პროცესში სკოლა იცავს ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და საჯაროობის პრინციპებს. პერსონალის შერჩევის კრიტერიუმები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის დაინტერესების შემთხვევაში.

ვაკანტური საათების დასაკავებლად სკოლა კონკურსს აცხადებს მასწავლებლის სახლის ვებგვერდზე. წარმოდგენილი მასალების საფუძველზე დგინდება, რომ კონკურსის პროცედურა გამჭვირვალეა და ემყარება თანაბარი შესაძლებლობების პრინციპს.

ინდიკატორის (3.1.2.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სოფელ წილკნის საჯარო სკოლაში დასაქმებული პერსონალის, მათ შორის პედაგოგთა კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება სკოლის მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის №174/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესს".

Emis- ის ამონაწერისა და პერსონალის პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებულია 36 მასწავლებელი, მათ შორის - 8 წამყვანი და 28 უფროსი სტატუსის მქონე პედაგოგი. თითოეულ მასწავლებლის პირად საქმეში წარმოდგენილია პროფესიული სტატუსისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატები, ასევე დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს მათ მიერ სხვადასხვა პროფესიული განვითარების ტრენინგისა და კურსის გავლას.

გარდა ამისა, ყველა პირად საქმეში დაცულია ცნობები იმის შესახებ, რომ თანამშრომლებს არ აქვთ ნასამართლეობა და არ ჩაუდენიათ სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.

აღნიშნული მონაცემები ადასტურებს, რომ სკოლის თანამშრომელთა შერჩევისა და დასაქმების პროცესი სრულ შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს კვალიფიციური და სამართლებრივად სანდო პერსონალის არსებობას სასწავლო დაწესებულებაში.

ინდიკატორის (3.1.2.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის მასწავლებლებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პედაგოგები აცნობიერებენ საკუთარ პროფესიულ პასუხისმგებლობას, პატივს სცემენ კოლეგების აზრს და მონაწილეობენ სკოლის ცხოვრებაში.

სკოლის ხელმძღვანელის განმარტებით, თანამშრომლებს შორის თანამშრომლობისა და გუნდური მუშაობის პრინციპების განმტკიცება წარმოადგენს სკოლის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად სკოლაში რეგულარულად ტარდება პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო საბჭოსა და დისციპლინური კომიტეტის სხდომები, რაზეც წარმოდგენილია შესაბამისი ოქმები. ოქმებიდან ჩანს, რომ შეხვედრებზე განიხილება როგორც აკადემიური, ისე ორგანიზაციული საკითხები, განისაზღვრება მიმდინარე პროცესების გაუმჯობესების გზები და მიიღება კოლეგიალური გადაწყვეტილებები.

გარდა ამისა, სკოლამ წარმოადგინა პედაგოგთა საჭიროებების დადგენის კითხვარები, რომლებიც მიზნად ისახავს თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მიმართულებებისა და მხარდაჭერის საჭიროებების იდენტიფიცირებას.

მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ ისინი ხშირად ესწრებიან კოლეგების გაკვეთილებს, აზიარებენ პროფესიულ გამოცდილებას და აძლევენ კონსტრუქციულ რეკომენდაციებს, რაც ხელს უწყობს სწავლების ხარისხის ამაღლებასა და კოლეგიალური სწავლების კულტურის ჩამოყალიბებას. მიუხედავად ამისა, სკოლამ ვერ წარმოადგინა აღნიშნული პროცესის დოკუმენტურად დამადასტურებელი მასალები (მაგალითად, გაკვეთილების მონიტორინგის ფორმები, დაკვირვების ჟურნალები ან შემაჯამებელი ანგარიშები). ამ შემთხვევაშიც სკოლას მიეცა **რჩევა: საურველია სკოლამ შექმნას გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებისა და კოლეგიალური დაკვირვების დოკუმენტირების მექანიზმი, რომელიც მოიცავს შესაბამის ფორმებს, ჩანაწერებსა და შედეგების ანალიზს. აღნიშნული პრაქტიკა გააძლიერებს პროფესიული განვითარების პროცესს და ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის სისტემურ შეფასებასა და გაუმჯობესებას.**

საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში ჩამოყალიბებულია თანამშრომლობისა და გუნდური მუშაობის კულტურის საფუძველი, რომელიც ეფუძნება კომუნიკაციას, ურთიერთნდობასა და საერთო მიზნებისკენ მიმართულ ერთობლივ ძალისხმევას. ამასთან, საურველია აღნიშნული პრაქტიკების უფრო ფორმალიზებული და დოკუმენტურად დაფიქსირებული ფორმით განხორციელება, რაც კიდევ უფრო გაამყარებს სკოლის შიდა მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას.

ინდიკატორის (3.1.2.5.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები, რომლებიც განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესით. წახალისების ფორმებს შორის აღსანიშნავია მადლობის გამოცხადება, სიგელის გადაცემა, ფულადი წახალისება და სხვა მოტივაციური ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს თანამშრომელთა შრომის დაფასებასა და პროფესიული მოტივაციის გაზრდას.

სკოლის დირექტორთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ თანამშრომელთა წარმატების საჯარო აღიარების, წარმატების გაზიარების ერთ-ერთ მექანიზმად გამოიყენება სკოლის ოფიციალური Facebook გვერდი, სადაც რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაცია პედაგოგებისა და მოსწავლეების პროფესიული მიღწევების, წარმატებული პროექტების და მადლობის სიგელების გადაცემის შესახებ. აღნიშნული პრაქტიკა ამაღლებს თანამშრომელთა მოტივაციას, აძლიერებს სკოლაში პოზიტიურ სამუშაო გარემოს და ხელს უწყობს სკოლის იმიჯის გაძლიერებას საზოგადოებაში.

რჩევა: სასურველია სკოლამ წახალისების მექანიზმი უფრო ფორმალიზებულ სახეს მიანიჭოს — განსაზღვროს თანამშრომელთა წახალისების კრიტერიუმები, პერიოდულობა და დაფიქსირების ფორმა (მაგალითად, წლიური შეჯამების ან შიდა დებულების სახით). ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს წახალისების პროცესის თანმიმდევრულობას, გამჭვირვალობასა და ეფექტიანობას, რაც დადებითად აისახება როგორც პროფესიულ მოტივაციაზე, ისე შიდა მართვის კულტურაზე.

ინდიკატორის (3.1.2.6.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმებით;
- საშტატო განრიგი;
- პირადი საქმეები;

- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელსაც გააჩნია საქმიანობის დებულება. დებულებაში დეტალურად არის გაწერილი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საჭიროებების გამოვლენის მექანიზმები, კვლევის ჩატარების ფორმები და პროცესების მონიტორინგის პრინციპები.
სკოლის დირექტორთან ინტერვიუსას დადგინდა, რომ დაწესებულება ახორციელებს საჭიროებათა კვლევას, რომელიც ორიენტირებულია როგორც მიმდინარე პროცესების შეფასებაზე, ისე მასწავლებელთა ინდივიდუალური და ჯგუფური საჭიროებების გამოვლენაზე. კვლევის პროცესისთვის სკოლამ შეიმუშავა შესაბამისი კითხვარები, რაც უზრუნველყოფს მონაცემების სტანდარტიზებულ შეგროვებას და წარმოადგინა შესაბამისი ანალიზის დოკუმენტი.

ინდიკატორის 3.2.1.1. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლის დირექტორის განმარტებით და წარმოდგენილი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების საფუძველზე ირკვევა, რომ როგორც მასწავლებლების, ისე ადმინისტრაციული თანამშრომლების საქმიანობის შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლა ეძებს გზებს პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობისთვის. შედეგების გაანალიზების საფუძველზე, შესაძლებლობის ფარგლებში, სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების მონაწილეობას პროფესიული განვითარების აქტივობებში.

ამ მიზნით, სკოლა პერიოდულად ახორციელებს პერსონალის საჭიროებების კვლევას, რისთვისაც გამოყენებულია სპეციალურად შექმნილი კითხვარები. გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით სკოლა გეგმავს თანამშრომელთა მონაწილეობას მასწავლებლის სახლის ტრენინგებში, კათედრების შორის ურთიერთდასწრებას და გამოცდილების გაზიარების პრაქტიკას.

ასევე, სამოქმედო გეგმის მიხედვით, სკოლისთვის პრიორიტეტია ადამიანური რესურსის განვითარების ხელშეწყობას, რაც გულისხმობს მასწავლებლების ტრენინგებით უზრუნველყოფას. აღნიშნული მიდგომა მიზნად ისახავს თანამშრომლების პროფესიული უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას, რაც პირდაპირ უკავშირდება სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას.

რჩევა: სასურველია, სკოლამ პრევენციული მიზნებისთვის განსაზღვროს პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული შესაძლო რისკები და შეიმუშავოს მონიტორინგის და გაკვეთილებზე დასწრების გეგმა. აღნიშნული ხელს შეუწყობს სკოლის პერსონალის და მასწავლებელთა პრაქტიკის სისტემურ ანალიზსა და მიზნობრივი მხარდაჭერის დაგეგმვას.

ინდიკატორის 3.2.1.2. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლა მიიჩნევს, რომ თანამშრომელთა გადამზადება და პროფესიული კომპეტენციების განვითარება წარმოადგენს ინსტიტუციური პროგრესის აუცილებელ წინაპირობას. ამ მიზნით, ადმინისტრაცია უზრუნველყოფს თანამშრომლებისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის გავრცელებას მიმდინარე ტრენინგებისა და სხვა პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. თანამშრომლების ჩართულობა სხვადასხვა ტრენინგში წარმოადგენს განვითარებისა და კომპეტენციების გაძლიერების ინტეგრირებულ ფორმას, რომელიც ასევე ზრდის თვითრეალიზაციის შესაძლებლობებს.

მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების პროცესში ჩართულობა დადასტურებულია პირადი საქმეებით, სადაც ინახება შესაბამისი სერთიფიკატები.

ინდიკატორის 3.2.1.3. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლის დირექციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ახალ თანამშრომელს უზრუნველყოფენ სრული საინფორმაციო და მხარდამჭერი გარემოთი: აცნობენ სასკოლო გარემოს, უფლებებსა და მოვალეობებს, ახვედრებენ შესაბამისი კათედრის ხელმძღვანელს და კათედრის წევრებს, აცნობენ კათედრის დებულებას, სასკოლო სასწავლო და სამოქმედო გეგმებს, ასევე სკოლაში დამკვიდრებულ ტრადიციებს.

კათედრის ფარგლებში ახალბედა მასწავლებელს უზრუნველყოფენ პროფესიული მხარდაჭერით: გამოცდილების გაზიარებით, სათანადო რჩევების მიცემით და სასკოლო ღონისძიებებში მონაწილეობისთვის ხელის შეწყობით. აღნიშნული პროცესი აღინიშნა

ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში (მუხლი 18 – ახალი თანამშრომლის სოციალიზაციის პროცესი), რომელიც ასახავს ეტაპობრივ მიდგომას: მოლოდინების ფორმირება, პირველადი სოციალიზაცია და საბოლოო ინტეგრაცია. განსაკუთრებულად აღსანიშნავია მენტორის გამოყოფის პრაქტიკა, რაც შესაბამისობაშია პროფესიული მხარდაჭერის თანამედროვე მოდელებთან.

რჩევა: სასურველია, რომ ახალი თანამშრომლის სოციალიზაციის თითოეული ეტაპი დოკუმენტურად აისახოს შესაბამის ფორმებში ან ანგარიშებში (მაგალითად, მენტორის შეფასება, უკუკავშირი ადაპტაციის პერიოდიდან და სხვა). ეს პრაქტიკა ხელს შეუწყობს ადაპტაციის პროცესის მონიტორინგს, ეფექტიან ანალიზსა და მომავალში სისტემური გაუმჯობესების დაგეგმვას.

ინდიკატორის 3.2.1.4. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში გარკვეულ დონეზე დელეგირებულია თანამშრომელთა უფლებები და მოვალეობები, ხოლო შინაგანაწესში და პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტებში დაწვრილებით გაწერილია თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები, რაც ხელს უწყობს საქმიანობის ეფექტურ და სისტემურ წარმართვას.

სასკოლო სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს ადამიანური რესურსის განვითარება, რის ფარგლებში გათვალისწინებულია ტრენინგების და სამუშაო შეხვედრების ორგანიზება, მათ შორის პერსონალის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და ინტერესებს შესაბამისად. პირადი საქმეებისა და სერტიფიკატების მიხედვით დადასტურებულია, რომ სკოლა აქტიურად მხარს უჭერს თანამშრომლების მონაწილეობას მათთვის მნიშვნელოვანი ტრენინგებისა და განვითარებით აქტივობებში.

ინდიკატორის 3.2.1.5. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლა პროცესების მართვას ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა დოკუმენტაციის - შრომის შინაგანაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმისა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების - საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს ორგანიზაციული საქმიანობის სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევას და პროცესების სტრუქტურული მართვას.

სკოლამ ასევე წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ხარისხის მართვის ძირითად პრინციპებს, მექანიზმებს და პროცესებს, რაც ხელს უწყობს სკოლის ხარისხის სისტემურ უზრუნველყოფასა და მართვას.

ინდიკატორის 3.3.1.1. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სასწავლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები ასახულია სკოლის დებულებაში, სადაც დეტალურადაა აღწერილი მმართველობითი ფუნქციები, დირექტორისა და ადმინისტრაციის პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულება.

ამასთან, შინაგანაწესშიც გაწერილია მმართველობითი პროცედურები, მათ შორის საკადრო საკითხები: შრომითი ურთიერთობების დამყარებისა და შეწყვეტის წესები, თანამშრომლების წახალისების ფორმები და მათი გამოყენების პროცედურები, სამსახურში გამოუცხადებლობის წესები, პერსონალის მატერიალური პასუხისმგებლობა და მასწავლებლის/დამრიგებლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები,

ინდიკატორის 3.3.1.2. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლაში გადაწყვეტილებების გასაჩივრებისა და საჩივრების განხილვის პროცედურები რეგლამენტირებულია დირექტორის მიერ დამტკიცებული დოკუმენტით (2025 წლის 17 სექტემბრის ბრძანება N2-156). გარკვეული წესები ასახულია შინაგანაწესშიც, სადაც დეტალურად განსაზღვრულია თანამშრომლებისა და მოსწავლეების დისციპლინური პასუხისმგებლობები და საჩივრის შეტანის პროცედურები.

გაცნობილი წესების მიხედვით დასტურდება, რომ დოკუმენტში ასახულია ყველა მნიშვნელოვანი საკითხი. მათ შორის არის მასწავლებლის ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესიც, რომელშიც აღწერილია, რომ კონკურსის ჩატარებისას კანდიდატს უფლება აქვს კომისიისა და დირექტორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საპრეტენზიო კომისიაში, წესით გათვალისწინებულ ვადებსა და პროცედურების შესაბამისად. საჩივრების მიღება და განხილვა სრულდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დადგენილი წესებით.

სკოლაში მოქმედებს სამეურვეო საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს საჩივრების განხილვასა და გადაწყვეტილებების გასაჩივრების პროცესის გამჭვირვალობას.

სკოლის თანამშრომლებთან გამართული გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ მათ აქვთ სრულყოფილი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მოსწავლეებს, მშობლებსა და სკოლაში დასაქმებულ ყველა პირს უფლება აქვს გაასაჩივროს მასწავლებლის, სკოლის ან სხვა ორგანოების უკანონო ან არამართლზომიერი ქმედებები.

ინდიკატორის 3.3.1.3. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლის დირექტორის 2025 წლის 17 სექტემბრის ბრძანებით N 2-153 დამტკიცებულია პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. წესები გაწერილია ასევე სკოლის შინაგანაწესსა და როგორც თანამშრომელთა შრომით ხელშეკრულებებში, ასევე მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულ ხელშეკრულებში.

პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმებში დეტალურადაა განმარტებული რეაგირების ფორმები და პროცედურები, რომლებიც გამოიყენება სკოლის პერსონალის, მშობლებისა და კანონიერი წარმომადგენლების უფლებების დასაცავად და შესაძლო დარღვევის შემთხვევების სამართლებრივი მართვის უზრუნველსაყოფად. დოკუმენტში კონკრეტულად გაწერილია თითოეული მხარის პასუხისმგებლობა, რეაგირების ვადები და ფორმალური კომუნიკაციის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს პროცესის სამართლებრივ და სტრუქტურირებულ წარმართვას.

ამ მიდგომას მნიშვნელოვნად შეუძლია ხელი შეუწყოს სკოლის შიდა პროცესების დემოკრატიულ მართვას, თანამშრომლობითი გარემოს შენარჩუნებას და ნდობის გაძლიერებას სკოლის ადმინისტრაციასა და მშობელთა/კანონიერი წარმომადგენლების საზოგადოებას შორის.
ინდიკატორის 3.3.1.4. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები;
- გადაწყვეტილებების გასაჩივრებისა და საჩივრების განხილვის პროცედურები;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის პერსონალთან გასაუბრების შედეგები;
- მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ სკოლა უზრუნველყოფს მშობლების ინფორმირებულობას მნიშვნელოვან საკითხებზე. მათ შორის, მშობლებს მიეწოდებათ ინფორმაცია სასკოლო სასწავლო გეგმაზე, შრომის შინაგანაწესზე, მოსწავლეთა ქცევის კოდექსზე, შეფასების სისტემაზე, ბიბლიოთეკის სარგებლობის წესებსა და სადამრიგებლო აქტივობებზე.
სკოლასა და მშობელს შორის ურთიერთობა რეგლამენტირებულია ორმხრივი ხელშეკრულებით, რომელშიც დეტალურად განისაზღვრება მხარეთა უფლება-მოვალეობები, რაც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობების გამჭვირვალე გადანაწილებას.
კომუნიკაციისთვის სკოლა ეფექტურად იყენებს ელექტრონულ არხებს, ელ. ფოსტას, სოციალურ ქსელებს, დახურულ ჯგუფებსა და Teams-ის პლატფორმას. ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება მშობელთა კრებების საშუალებით,
ვიზიტის პერიოდში გამოვლინდა, რომ სკოლაში არ არის დოკუმენტურად დაფიქსირებული სისტემური მექანიზმი მშობლებთან მიღებული უკუკავშირის აღრიცხვასა და რეაგირებაზე. შესაბამისად, **სკოლას მიეცა რჩევა: შეიმუშაოს ფორმალური სისტემა უკუკავშირის მიღებისა და რეაგირების პროცესისთვის, რაც ადმინისტრაციას საშუალებას მისცემს ეფექტურად გაითვალისწინოს მშობელთა**

მოსაზრებები, საჭიროებები და ინიციატივები, გააძლიეროს მართვის პროცესების გამჭვირვალობა და გაზარდოს საზოგადოების ჩართულობა.
ინდიკატორის (3.3.2.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში ფუნქციონირებს რამდენიმე კოლეგიური ორგანო, რომლებიც უზრუნველყოფენ გადაწყვეტილების მიღების პროცესების გამჭვირვალობასა და თანამშრომლურ მართვას. კერძოდ, სკოლაში მოქმედებს საგნობრივი კათედრები, რომლებიც აერთიანებენ სხვადასხვა საგნის მასწავლებლებს და უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და კოორდინაციას.
პედაგოგიური საბჭო მონაწილეობს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში, როგორიცაა სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის, სასკოლო კურიკულუმის, მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება და დამტკიცება.
გარდა ამისა, სკოლაში მოქმედებს მოსწავლეთა თვითმმართველობა და დისციპლინური კომიტეტი, ხოლო საჭიროებისამებრ იქმნება სამუშაო ჯგუფები მიმდინარე საკითხების გადასაწყვეტად. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ სამუშაო ჯგუფებში ჩართულნი არიან მოსწავლეთა მშობლებიც, რაც განამტკიცებს სკოლის თანამშრომლობით მართვის კულტურას და ზრდის საზოგადოების ჩართულობას სასკოლო პროცესებში.
ინდიკატორის (3.3.2.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
დასტურდება (მტკიცებულებები):

- დისციპლინური კომისიის შესახებ ბრძანება;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- მშობლებთან ურთიერთობის სტრატეგიის დოკუმენტი;
- მშობელთა კრების ოქმები;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წილკნის საჯარო სკოლაში ადამიანებისა და უსაფრთხოების საკითხები რეგულირდება დირექტორის 2024 წლის 22 ოქტომბრის №2-150 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით — „ადამიანებისა და უსაფრთხოების დოკუმენტი". აღნიშნული დოკუმენტის მე-2 მუხლი განსაზღვრავს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დაგეგმვისა და უზრუნველყოფის ძირითად პრინციპებს, შესაბამის რეგულაციებსა და პასუხისმგებელ პირებს.

ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სკოლაში დანიშნულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, დასაქმებულია ორი მანდატური და ორი დარაჯი, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის ტერიტორიაზე წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას. დირექტორის ბრძანებით შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც პერიოდულად იკრიბება, განიხილავს მოსწავლეთა და თანამშრომელთა უსაფრთხოების საკითხებს და დირექტორს წარუდგენს რეკომენდაციებს უსაფრთხოების კულტურის განმტკიცების მიზნით.

სკოლას შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც განსაზღვრავს კრიზისულ სიტუაციებში სწრაფი რეაგირებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითად მექანიზმებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ აღნიშნული გეგმა შეთანხმებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, რაც სრულად შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

შენობის ყველა სართულზე განთავსებულია ცეცხლმაქრები, დამონტაჟებულია ჰაერის დეტექტორები და გამოკრულია საევაკუაციო გეგმები. აღნიშნული ღონისძიებები უზრუნველყოფს სასწავლო სივრცეების პირველადი სახანძრო უსაფრთხოების პირობებს. თუმცა, სკოლამ ვერ წარმოადგინა **დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ**. ამასთან, წარმოდგენილია განაცხადი, რომელიც წარდგენილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის

სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოში, სახანძრო-ტექნიკური შემოწმების ჩატარების მოთხოვნით.

ასევე, სკოლამ ვერ წარმოადგინა **სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა შენობის უსაფრთხო ექსპლუატაციასთან დაკავშირებით**, თუმცა წარმოდგენილია წერილი (№02/10/2025 MES 3 25 0001272432), რომელიც ადასტურებს, რომ სკოლამ შესაბამისი მოთხოვნით უკვე მიმართა აღნიშნულ უწყებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა აშენდა 2015 წელს და მას წარმოდგენილი აქვს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა (21.01.2015წ.), რომლითაც დასტურდება, რომ ექსპერტიზის ჩატარების პერიოდისთვის სამშენებლო სამუშაოების ფაქტიური მოცულობისა და ხარისხი დამაკმაყოფილებელია. ვიზუალური ზედაპირული დათვალიერებით, შენობა მდგრადია.

ფაქტობრივი მდგომარეობით დადგინდა, რომ სკოლის ქიმიის ლაბორატორიაში არ არის დამონტაჟებული გამწოვი სისტემა, რაც საჭიროებს დამატებით ტექნიკურ გაუმჯობესებას უსაფრთხოების სტანდარტების სრულად დასაკმაყოფილებლად.

აღნიშნულიდან გამომდინარე დასკვნის პროექტის ფარგლებში ინდიკატორი შეფასდა როგორც "შეუსაბამო" თუმცა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთან 2025 წლის 25 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულება N ე-465 (საექსპერტო მომსახურების შესახებ) და წერილი, რომლითაც სკოლა განმარტავს, რომ მიმდინარე წლის 5 ნოემბერს სკოლაში ვიზიტზე იმყოფებოდა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტი, რომლის განმარტებით დასკვნა მომზადდება უახლოეს პერიოში. სკოლამ წარმოადგინა ასევე სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად შესრულების ვადად განსაზღვრულია 2026 წლი 01 აპრილი, ხოლო ფინანსურ წყაროდ სკოლის ბიუჯეტი.

ინდიკატორი (3.4.1.1.) შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება"

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

ექსპერტები გაეცნენ სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წილკნის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 17 სექტემბრის №2-147 ბრძანებით დამტკიცებულ „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესს". აღნიშნული დოკუმენტით დარეგულირებულია სკოლის შენობაში პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის პროცედურები და შესაბამისი წესები.

წესის შესაბამისად, პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველსაყოფად სკოლაში მოწყობილია პირველ სართულზე მდებარე სამედიცინო კაბინეტი, რომლის მოწყობა და ფუნქციონირება შეესაბამება მოქმედ ნორმატიულ აქტებსა და შესაბამისი ორგანოების რეკომენდაციებს.

კაბინეტი უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით, ნიავდება ბუნებრივი ვენტილაციის გზით და აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარით: სამედიცინო ტახტით, სასწორით, სიმაღლის საზომით,

საკაცით, მაცივრითა და კარადებით, რომლებშიც განთავსებულია მედიკამენტები, ანტისეპტიკური და შესახვევი საშუალებები, რომელთა გამოყენებაც დაშვებულია სკოლის მოსწავლეებზე.
სკოლაში დასაქმებულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმი, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე დროულ და ეფექტურ რეაგირებას.
ინდიკატორის (3.4.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წილკნის საჯარო სკოლა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების" მოთხოვნებით.
სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც წელიწადში ორჯერ იკრიბება, აფასებს სასკოლო გარემოს მდგომარეობას და ადგენს რეკომენდაციებს უსაფრთხოებისა და მოწესრიგებული სასწავლო გარემოს უზრუნველსაყოფად.
სკოლაში ფუნქციონირებს მანდატურის სამსახური, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს დირექციასთან და პედაგოგიურ კოლექტივთან. აღნიშნული ერთობლივი საქმიანობა მიზნად ისახავს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას წესრიგის დაცვასა და უსაფრთხო გარემოს შენარჩუნებას.
სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზის ნომერი (112), ასევე განათლების სამინისტროსა და მანდატურის სამსახურის საკონტაქტო ინფორმაცია, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.
ინდიკატორის (3.4.1.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან გამართული გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს ემოციურად და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს. დამრიგებლები მოსწავლეებს სისტემატურად აცნობენ მათ უფლებებსა და მოვალეობებს, რაც ხელს უწყობს პასუხისმგებლობის განცდისა და თვითდისციპლინის ჩამოყალიბებას. სკოლის ინფრასტრუქტურა - მათ შორის დიდი ეზო, სპორტული მოედანი და დიდი კორიდორები ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალურ აქტივობას, ურთიერთობების განვითარებას და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას.
ინდიკატორის (3.4.1.4) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი. საშტატო ნუსხის მიხედვით, სკოლას ჰყავს სამი დამლაგებელი, ხოლო სკოლის ექიმი პასუხისმგებელია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე, რაც დადასტურებულია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებით. სკოლის სამივე სართულზე ცალ-ცალკე მოწყობილია სველი წერტილები გოგონებისა და ვაჟებისთვის, ასევე გათვალისწინებულია ადაპტირებული სველი წერტილები. აღნიშნულ სივრცეებში დაცულია ყველა საჭირო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმა, უზრუნველყოფილია ონკანებით, ნიჟარებითა და თხევადი საპნით.

ინდიკატორის (3.4.1.5.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლას საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე განსაზღვრული ჰყავს პასუხისმგებელი პირი, საქმისმწარმოებელი, რომელსაც ხელშეკრულებით ევალება სამსახურეობრივი მოვალეობის შედეგად მიღებული მოსწავლეების და თანამშრომელთა პერსონალური ინფორმაციის დაცვა. დასტურდება, რომ სკოლამ უზრუნველყო თანამშრომელთა ინფორმირება პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისა და გასაჯაროების წესების შესახებ და წარმოადგინა შესაბამისი ხელმოწერილი თანხმობის ფორმები. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები.

ინდიკატორის (3.4.1.6.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი - ინფორმაციის დაცვის მექანიზმები, რომლითაც განსაზღვრულია სკოლის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული ინფორმაციის დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები. დირექტორის განმარტებით, სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია. საქმისწარმოებისა და ბუღალტრულ დოკუმენტაციაზე წვდომა აქვთ მხოლოდ ხელშეკრულებით უფლებამოსილ პირებს, რაც უზრუნველყოფს სკოლის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვას.

ინდიკატორის (3.4.1.7.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლის დირექტორთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტის - „ადამიანებისა და უსაფრთხოების დოკუმენტი" — შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დანერგილია რიგი

მექანიზმები, რომელთა ეფექტიანობას სკოლის დირექცია სისტემატურად აკონტროლებს. ადამიანური რესურსის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ფუნქციონირებს მანდატურისა და კარისკაცის პოზიციები, ასევე შედგენილია მორიგეობის ცხრილი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის სივრცის მონიტორინგს.

სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭო, რომლის საქმიანობაც მიმართულია უსაფრთხოების მართვის სისტემური გაუმჯობესებისკენ. საბჭოში ჩართულია სკოლის ძირითადი გადაწყვეტილების მიმღები ყველა რგოლი, რაც ხელს უწყობს კოლექტიური პასუხისმგებლობის გაძლიერებას. მორიგეობის სისტემა, თავის მხრივ, ამცირებს ინციდენტების რისკს და ზრდის მონიტორინგისა და კონტროლის ხარისხს.

ვინაიდან სკოლამ ვერ წარმოადგინა უსაფრთხოების შეფასების მტკიცებულებითი დოკუმენტაცია, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულია შემდეგი რჩევა: სასურველია უსაფრთხოების შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება და უსაფრთხოების ინციდენტების რეგისტრაციისა და ანალიზის ჟურნალის დანერგვა. აღნიშნული ნაბიჯები ხელს შეუწყობს პრევენციული ღონისძიებების უფრო მიზნობრივ დაგეგმვას, პროცესების გამჭვირვალობის ზრდას და უსაფრთხოების მექანიზმების ანგარიშვალდებულების განმტკიცებას.

ინდიკატორის (3.4.1.8) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ექიმის ხელშეკრულება;
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი;
- მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმები;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული - ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

ამონაწერით საჯარო რეესტრიდან და ადგილზე ჩატარებული ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლით დადგინდა, რომ სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წილკნის საჯარო სკოლა განთავსებულია სამსართულიან შენობაში, რომლის საერთო ფართობი შეადგენს 23 608,7649 კვ.მ-ს. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ერთცვლიან რეჟიმში, რაც უზრუნველყოფს სწავლების ორგანიზების სათანადო პირობებსა და სასკოლო დღის რაციონალურ განაწილებას.

სკოლის ინფრასტრუქტურა შესაბამისობაშია უსაფრთხოებისა და ხელმისაწვდომობის სტანდარტებთან. შენობა სრულად არის ადაპტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეებისთვის — დამონტაჟებულია ლიფტი და უზრუნველყოფილია სივრცეთა ფიზიკური ხელმისაწვდომობა.

ფაქტობრივი მონაცემებით, სკოლა აღჭურვილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით, რომლებიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან განხორციელებას. სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მოიცავს შემდეგ სივრცეებსა და რესურსებს:

- კომპიუტერული ლაბორატორია (21 ლეპტოპი);
- საბუნებისმეტყველო ლაბორატორია;
- რესურსოთახი;
- ბიბლიოთეკა;
- სპორტული დარბაზი;
- სპორტული მოედანი (საჭიროებს რეაბილიტაციას)
- სამედიცინო კაბინეტი;
- სამასწავლებლო ოთახი
- ადაპტირებული სველი წერტილები;
- კვების ობიექტი (ბუფეტი);
- 19 საკლასო ოთახი;
- სააქტო დარბაზი;
- მანდატურის ოთახი.

აღნიშნული რესურსები სრულად შეესაბამება ზოგადი განათლების დაწესებულების ინფრასტრუქტურის მინიმალურ სტანდარტებს და უზრუნველყოფს როგორც სასწავლო, ისე არასწავლო აქტივობების ჩატარების შესაძლებლობას. 2025 წლის მდგომარეობით, სკოლაში სწავლობს 381 მოსწავლე.

ინდიკატორის (3.5.1.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის სამუშაო დღეებისა და საათების განმავლობაში. დირექციასთან შეთანხმებით, ამ სივრცეების გამოყენება შესაძლებელია ასევე არასასწავლო პერიოდში — დასვენების, კომუნიკაციისა და თანამშრომლობის მიზნით.

რჩევა: საგანმანათლებლო რესურსების ეფექტიანი, სამართლიანი და უსაფრთხო გამოყენების უზრუნველსაყოფად სასურველია, სკოლამ შეიმუშავოს შესაბამისი მექანიზმების დოკუმენტი, სადაც განისაზღვრება რესურსების ტიპები, გამოყენების წესები და პასუხისმგებლობათა განაწილება. აღნიშნული ხელს შეუწყობს რესურსების მართვის გამჭვირვალობასა და ორგანიზაციული პროცესების ეფექტიანობას.

ინდიკატორის (3.5.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლის ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს როგორც მხატვრულ, ასევე მეთოდურ და სასკოლო სახელმძღვანელოებს. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკრი, შემუშავებულია სკოლის ბიბლიოთეკარის მუშაობის წესი და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელშიც დაკონკრეტებულია ბიბლიოთეკის ფონდის მოხმარების ძირითადი წესები და გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე.

ინდიკატორის (3.5.1.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

ადგილზე ჩატარებული ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლით დადგინდა, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა პასუხობს ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობისა და ფიზიკური გარემოს შესაბამისობის სტანდარტის მოთხოვნებს. შენობაში უზრუნველყოფილია ფიზიკური ხელმისაწვდომობა სკოლის შესასვლელებთან მოწყობილია ადაპტირებული პანდუსები, ხოლო სამივე სართულზე გადაასადგილებლად ფუნქციონირებს ლიფტი, მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილები.

სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურული ელემენტები ქმნის უსაფრთხო, ინკლუზიურ და თანასწორ საგანმანათლებლო გარემოს.

ინდიკატორის (3.5.1.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლის ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციო-კულტურულ განვითარებას, სწავლა-სწავლების პროცესის მრავალმხრივ გამდიდრებასა და ინოვაციური საგანმანათლებლო პრაქტიკების განხორციელებას. შენობა გამოირჩევა ფართო და ნათელი დერეფნებითა და საკლასო ოთახებით, რაც ქმნის კომფორტულ, ჯანმრთელ და ფსიქოლოგიურად ხელსაყრელ გარემოს სასწავლო პროცესისთვის. სკოლას აქვს დიდი ეზო, სააქტო დარბაზი, ასევე დიდი სპორტული დარბაზი და მოედანი, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ფიზიკური აქტივობისა და რეკრეაციული დასვენების შესაძლებლობას.

საკლასო სივრცეები სრულად არის აღჭურვილი თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისი ინვენტარით - ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებით, მასწავლებლის მაგიდებით, კარადებითა და სხვა საჭირო საგანმანათლებლო აღჭურვილობით. მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან სასკოლო სახელმძღვანელოებითა და დამატებითი სასწავლო რესურსებით (რუკები, ვიზუალური თვალსაჩინოებები), რაც ხელს უწყობს საგნობრივი მასალის უკეთესად ათვისებას და სწავლების ხარისხის ამაღლებას.

ინდიკატორის (3.5.1.5.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- წიგნადი ფონდის კატალოგი;
- სკოლის მატერიალური რესურსის ინვენტარიზაციის დოკუმენტი;
- მიღება ჩაბარების აქტები;
- ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის როგორც საგაკვეთილო, ისე არასაგაკვეთილო პერიოდში. საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ შაბათ-კვირის დღეებშიც ისარგებლონ კომპიუტერული რესურსებით, პედაგოგის ზედამხედველობისა და მეთვალყურეობის პირობებში. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს რესურსების მიზნობრივ და უსაფრთხო გამოყენებას.

სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფორმაციულ-ტექნოლოგიური ინვენტარით: 40 ნოუთბუქი, 4 პროექტორი, 6 პრინტერი.

სკოლა სრულად სარგებლობს უსადენო ინტერნეტით (Wi-Fi), რაც უზრუნველყოფს როგორც სასწავლო პროცესის, ისე ადმინისტრაციული საქმიანობის უწყვეტობასა და ეფექტიანობას.

წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ სკოლის კომპიუტერული ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს მოსწავლეთა და პედაგოგთა საჭიროებებს, ხელს უწყობს ციფრული უნარების განვითარებას და წარმოადგენს სასწავლო პროცესის მხარდამჭერ მნიშვნელოვან კომპონენტს.

ინდიკატორის (3.6.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს როგორც მასწავლებლების, ისე მოსწავლეებისთვის ინფორმაციული ტექნოლოგიების რესურსების შეუზღუდავ ხელმისაწვდომობას, მათ შორის მიზნობრივი საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელების ფარგლებში. ტექნოლოგიური რესურსების გამოყენება ინტეგრირებულია სწავლა-სწავლების პროცესში, რაც ხელს უწყობს სწავლების დიფერენცირებას, ინტერაქტიულობის გაზრდას და ციფრული უნარების განვითარებას.

მოსწავლეებისთვის განკუთვნილ სივრცეებში ტექნიკის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელნი არიან ინფორმაციული ტექნოლოგიების პედაგოგი და ის მასწავლებლები, რომლებიც კონკრეტულ დროს მუშაობენ მოსწავლეებთან საერთო სამუშაო სივრცეში. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს ტექნოლოგიური რესურსების უწყვეტად და უსაფრთხოდ გამოყენებას.

ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა პრაქტიკულად ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეებისთვის, ისე სკოლის პერსონალისთვის. კომპიუტერულ ლაბორატორიაში დადგენილია სამუშაო განრიგი და შემუშავებულია ლაბორატორიის სარგებლობის წესი, რომელიც განსაზღვრავს უსაფრთხოებისა და

ტექნიკის გამოყენების წესებს, მომხმარებელთა პასუხისმგებლობასა და ლაბორატორიის რესურსების დაზიანების პრევენციის მექანიზმებს.

ინდიკატორის (3.6.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები;
- მიღება-ჩაბარების აქტები.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლის მიერ შემუშავებულია საქმისწარმოების ინსტრუქცია, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის შესაბამისი ბრძანებით (2023 წლის 21 ივნისი, №2-53). დოკუმენტის მიხედვით, სკოლის მატერიალური და ელექტრონული დოკუმენტების მოძრაობა - მიღებიდან ან შექმნიდან, შესრულებისა და გაგზავნის ჩათვლით, მათი საქმისადმი მიმაგრებამდე - წარმოადგენს დოკუმენტბრუნვის პროცესს.

დოკუმენტბრუნვის პროცესი მოიცავს შემდეგ ძირითად ნაკადებს:

- შემოსული დოკუმენტაცია;
- შიდა დოკუმენტაცია;
- გასული დოკუმენტაცია;
- ბრძანებები.

დოკუმენტების მიღება და რეგისტრაცია ხორციელდება საქმისმწარმოებლის მიერ. მასთან დაკავშირებული სხვა საკითხები რეგულირდება *საქმისწარმოების ინსტრუქციით.*

ინდიკატორის (3.6.2.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლაში ფუნქციონირებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა (Eflow), რომელიც უზრუნველყოფს დოკუმენტების სწრაფ, კონტროლირებად და უსაფრთხო გამოყენებას.
სკოლა სარგებლობს ასევე სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ ადმინისტრირებულ ერთიანი პლატფორმით - **eSchool.emis.ge**, სადაც შეყვანილია სკოლის ძირითადი მონაცემები.
გარდა ამისა, კორესპონდენციის მისაღებად და ინფორმაციის გაცვლის მიზნით, სკოლა იყენებს ელექტრონულ ფოსტას: tsilkani@mes.gov.ge.
ინდიკატორის (3.6.2.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (EMIS) სკოლას გააჩნია სრულყოფილი პროფილი, რომელშიც ასახულია სკოლის იურიდიული და ადმინისტრაციული მონაცემები, მოსწავლეთა და პერსონალის ინფორმაცია, კლასების სტრუქტურა, სასწავლო გეგმა და სხვა მნიშვნელოვანი პროცესები.
ინდიკატორის (3.6.2.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა დროულად და სავალდებულოდ აწვდის ანგარიშებსა და მოთხოვნილ ინფორმაციას საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს. თანამშრომლობა ხორციელდება როგორც წერილობითი, ისე ელექტრონული ფორმით, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის გამჭვირვალობასა და სამართლებრივ შესაბამისობას.
სკოლის საქმიანობის შესახებ საჯარო ინფორმაცია რეგულარულად გადაეცემა საქართველოს პარლამენტს, პრემიერ-მინისტრსა და საქართველოს პრეზიდენტს. სკოლის დირექტორი ყოველწლიურად, **10 დეკემბრამდე**, წარადგენს ანგარიშს **სამეურვეო საბჭოს**, სადაც დეტალურად არის წარმოდგენილი სკოლის საქმიანობის შედეგები, მიღწევები და საჭიროებები.
ინდიკატორის (3.6.2.4) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის პროფილი;
- რეგისტრაციის ჟურნალები;
- საქმისწარმოების ინსტრუქცია;

- გამოცემული აქტები;
- გასული და შემოსული კორესპონდენციები.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლის მიზნობრივი კომუნიკაცია და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია მრავალსაფეხურიანი საკომუნიკაციო მექანიზმების გამოყენებით. საკომუნიკაციო არხებად გამოიყენება: სოციალური ქსელის (Facebook) სკოლის ოფიციალური გვერდი, რომელიც ემსახურება სკოლის აქტივობებისა და მნიშვნელოვანი ცნობების სწრაფ და ფართო საზოგადოებისთვის გავრცელებას;

Microsoft Teams, სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმის საკითხების გასაზიარებლად, რაც ზრდის პედაგოგების, მოსწავლეების და მშობლების ჩართულობას სწავლა-სწავლების პროცესში;

სკოლის ვებგვერდი, რომელიც უზრუნველყოფს მშობლებისთვის, სკოლის მოსწავლეებისთვის და თემისთვის ინფორმაციის უწყვეტ, ხელმისაწვდომ მიწოდებას.

აღნიშნული კომუნიკაციის არხები უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობას, ხელს უწყობს მოსწავლეთა, პედაგოგებისა და მშობლების ინფორმირებულობას და ეფექტურად ავითარებს სკოლის საჯარო იმიჯს.

ინდიკატორის (3.6.3.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკოლის სოციალური ქსელის ოფიციალურ გვერდზე რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული საგანმანათლებლო პროექტების, ღონისძიებების, კონკურსების, ინტელექტუალურ შეჯიბრებების, ოლიმპიადებისა და სხვა აქტივობების შესახებ.

სოციალურ ქსელებში შექმნილია თემატური ჯგუფები, მათ შორის კლასების, მასწავლებლებისა და მშობლებისათვის, რაც ხელს უწყობს კონკრეტული ჯგუფების ეფექტურ კომუნიკაციას. აღნიშნული ჯგუფების მეშვეობით მონაწილე პირებს მიეწოდება სასკოლო ცხოვრებასთან დაკავშირებული მრავალფეროვანი ინფორმაცია.

აკადემიური მოსწრების მონაცემები განთავსებულია ელექტრონულ ჟურნალში, რომელიც ხელმისაწვდომია შესაბამის მასწავლებლებსა და მოსწავლეთა მშობლებისთვის. ინფორმაციის გაცვლა და მიმოცვლა ასევე ხორციელდება სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის საშუალებით, რაც უზრუნველყოფს კომუნიკაციის ეფექტიანობას, მონაცემების უსაფრთხო დაცვას და ინფორმაციის დროულ მიწოდებას.

ინდიკატორის (3.6.3.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

დადგინდა, რომ სკოლა აქტიურად იყენებს **სოციალურ მედიას** და **ელექტრონულ ფოსტას** როგორც ინფორმაციის გავრცელების, ისე უკუკავშირის მიღების საშუალებას. მიღებული მოსაზრებები, რეკომენდაციები და შენიშვნები რეგულარულად განიხილება ადმინისტრაციის მიერ და გამოიყენება სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის.

სკოლას მიეცა **რჩევა, სასურველია, უკუკავშირის მიღებისა და გამოყენების პრაქტიკა დოკუმენტურად აღირიცხოს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს როგორც მიღებული ინფორმაციის ანალიზის, ასევე მასზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების გამჭვირვალობა. მნიშვნელოვანია ასევე განისაზღვროს, როგორ გამოიყენება ეს ინფორმაცია სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული პრაქტიკა ხელს შეუწყობს იმ მექანიზმების გამოკვეთას, რომლითაც სკოლა რეაგირებს საზოგადოებისგან მიღებულ მოსაზრებებზე.**

ინდიკატორის (3.6.3.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ვებგვერდი Admin School Web Portal, სადაც სკოლის შესახებ საჯარო ინფორმაცია არის განთავსებული ქართულ ენაზე და ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის.

ინდიკატორის (3.6.3.4) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებგვერდი https://skolebi.emis.ge/ შეიცავს ინფორმაციას სკოლის შესახებ, მათ შორის: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, შვიდწლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის შესახებ ინფორმაცია, ასევე სკოლის შინაგანაწესი და ინდიკატორით განსაზღვრული სხვა საკითხები.

ინდიკატორის (3.6.3.5) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის ვებგვერდის https://skolebi.emis.ge/ დათვალიერების შედეგები;
- სოციალური ქსელის (Facebook) სკოლის ოფიციალურ გვერდის დათვალიერების შედეგები;
- სკოლის ელექტრონული ფოსტა;
- ელექტრონული სისტემა - „eflow";
- eSchool.emis.ge.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის ბიუჯეტი დამტკიცებულია **სამეურვეო საბჭოს** მიერ და ფინანსური მართვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით, ბიუჯეტის შესახებ არსებულ სამართლებრივ ნორმების შესაბამისად. სკოლის ფინანსური რესურსები მიზნობრივად არის მიმართული სამოქმედო გეგმის განხორციელების უზრუნველყოფაზე, რაც უზრუნველყოფს დაგეგმილი სასწავლო, სასწავლო-სააღმზრდელო და ადმინისტრაციული აქტივობების ხარისხიან შესრულებას.

ინდიკატორის (3.7.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის დირექტორისა და ბუღალტრის განმარტებით, სკოლას აქვს ჩამოყალიბებული ფინანსური რესურსების დაგეგმვის, განკარგვისა და მონიტორინგის სისტემა. სკოლაში ბიუჯეტის დაგეგმვა და ანალიზი ხორციელდება ერთობლივად: დირექცია და სტრუქტურული ერთეულები თანამშრომლობენ ბუღალტერთან, განიხილავენ მომზადებულ ბიუჯეტის გეგმის პროექტს და წარუდგენენ სამეურვეო საბჭოს წევრებს. თუ საჭირო ხდება ცვლილებების შეტანა, სამეურვეო საბჭო ხელახლა იკრიბება და განიხილავს ბიუჯეტის კორექტირებულ გეგმას.

ყოველი წლის ბოლოს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს წლიური ბიუჯეტის ანგარიშს, რომელშიც დეტალურად არის წარმოდგენილი ინფორმაცია დაგეგმილი ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილის შესახებ, რაც უზრუნველყოფს ფინანსური პროცესების გამჭვირვალობას და სამეურვეო საბჭოს მონიტორინგის შესაძლებლობას.

ინდიკატორის (3.7.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის ბიუჯეტი;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები;
- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების დოკუმენტი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში მოქმედებს მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს მათთვის უსაფრთხო და მხარდამჭერი გარემოს არსებობას.

სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით განსაზღვრული უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა. მოსწავლეთა უფლებების დაცვა რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, რომელიც უზრუნველყოფს ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს შექმნასა და ხელმისაწვდომობას.

კლასის დამრიგებლებთან და მოსწავლეებთან ერთად შემუშავებულია მოსწავლეთა ქცევის წესები, რომლებიც გამოკრულია საკლასო ოთახებში თვალსაჩინო ადგილას. მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანიზებით სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები და აქტივობები, რაც ხელს უწყობს მათ აქტიურ ჩართულობასა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განვითარებას.

სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი და მრჩეველთა საბჭო, რომელთა შემადგენლობაში ასევე ჩართულნი არიან მანდატურის სამსახურის წარმომადგენლები. მრჩეველთა საბჭო სასწავლო წლის განმავლობაში ატარებს პერიოდულ სხდომებს, სადაც იგეგმება და ხორციელდება მოსწავლეთა ინტერესებზე დაფუძნებული ღონისძიებები.

ინდიკატორის (4.1.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის შინაგანაწესი განთავსებულია ფოიეში თვალსაჩინო ადგილას, რაც უზრუნველყოფს მისი საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. ინტერვიუების საფუძველზე, დირექტორის, მასწავლებლებისა და მოსწავლეების თქმით, სკოლა ყოველ სასწავლო წლის დასაწყისში, მოსწავლისა და მშობლის ჩართულობით, მშობელთა კრებებზე, კლასის საათებზე და ღია კარის შეხვედრებზე უზრუნველყოფს:

- მოსწავლეთა და მშობლების ინფორმირებას სამართლებრივი უფლებების, შინაგანაწესით განსაზღვრული წახალისებისა და დისციპლინური დევნის წესების შესახებ;
- საკლასო წესების შემუშავებასა და გაცნობას.

სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში ასევე შედის მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში დისციპლინური წარმოებისა ან გასაჩივრების შემთხვევები არ დაფიქსირებულა, რაც ასახავს დისციპლინური წესების ეფექტურ მოქმედებას.

ინდიკატორის (4.1.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლის დირექციასთან ინტერვიუირების დროს აღინიშნა, რომ მოსწავლის სკოლაში შეყვანის პროცესში მშობელთან ან მისი კანონიერ წარმომადგენელთან ფორმდება კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული ხელშეკრულება. ხელშეკრულების ტექსტი წინასწარ, ელექტრონული ფორმით ეგზავნება მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს გაცნობის მიზნით. ხელშეკრულება ფორმდება ორ ეგზემპლარად: ერთი ეძლევა მშობელს, მეორე რჩება სკოლაში.

სკოლას მიეცა რჩევა: საჭიროების შემთხვევაში მშობლებისგან მოიპოვონ თანხმობა ფოტოებისა და ვიდეომასალების საჯაროდ გამოქვეყნებისათვის, შესაბამისი თანხმობის ფორმების შევსების გზით.

ინდიკატორის (4.1.1.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ხელშეკრულებები სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმი;
- შინაგანაწესი;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი;
- დისციპლინური საბჭოს ოქმი;
- დამრიგებლის პორტფოლიო.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლა მოსწავლეთა ჩარიცხვას, საფეხურის დაძლევას, მობილობას, სტატუსის შეჩერებასა და შეწყვეტას ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ და 2012 წლის 19 სექტემბრის №193/ნ ბრძანებების შესაბამისად.

აღნიშნული პროცედურები ასახულია სკოლის დირექტორის ბრძანებაში „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი".
ამ დოკუმენტში განსაზღვრულია:

- მოსწავლის ჩარიცხვის, განათლების აღიარების, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები, კანონმდებლობის შესაბამისად;
- პირველკლასელთა რეგისტრაციის ეტაპები და მოსწავლეთა ჩარიცხვის წესები;
- სტატუსის შეჩერების საფუძვლები, სტატუსის აღდგენისა და მობილობის წესები.

მშობლების ინფორმირება ხორციელდება მრავალფეროვანი მეთოდებით: პირისპირ შეხვედრები, სატელეფონო კომუნიკაცია, სოციალური ჯგუფები, TEAMS-ის პლატფორმა, ელ-ჟურნალი. მშობლებთან ინდივიდუალურად განხილულია მოსწავლის სწავლის პროგრესი და პიროვნული თვისებები.
სკოლაში ბრძანებით შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფები, სადაც პერიოდულად განხილულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და შეფასებულია მოსწავლეთა მიღწევები. მიღებული დასკვნების საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება სტატუსის შეცვლა, რომელიც ხდება ფსიქოსოციალური გუნდის რეკომენდაციის შესაბამისად. ყველა პროცედურასთან დაკავშირებული დოკუმენტები ინახება სპეციალურ მასწავლებელთან და მოსწავლის პირად საქმეში, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და უსაფრთხო შენახვას.
ინდიკატორის (4.1.2.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემის (Eschool) დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობისა და სტატუსის ვადები დაცულია. აღნიშნული პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
ინდიკატორის (4.1.2.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ სხვადასხვა მომსახურების, აქტივობების და რესურსების შესახებ ინფორმაცია ვრცელდება პირისპირ შეხვედრებისა და სოციალური ქსელის დახურული ჯგუფების საშუალებით.
სკოლის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული პროგრამები, დებულებები, აქტივობები და რესურსები სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას, ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებს, არის არადისკრიმინაციული, საჯარო და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული მხარისათვის.
ინდიკატორის (4.1.2.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლა ინფორმაციას სისტემატურად აწვდის მშობლებს როგორც დამრიგებლების მეშვეობით, ასევე საერთო შეხვედრების ფორმატში. სხვადასხვა აქტივობისა და რესურსების შესახებ ინფორმაციის გავრცელება ხდება პირისპირ შეხვედრების, ასევე სოციალური ქსელის დახურული ჯგუფების საშუალებით.
ექსპერტების მიერ შესწავლილი მასალებისა და სკოლის პრაქტიკის ანალიზი ადასტურებს, რომ სკოლა ახორციელებს დაგეგმილ პროგრამებს, დებულებებს, აქტივობებსა და რესურსებს კანონმდებლობასთან სრული შესაბამისობით. აღნიშნული პროცესები ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებს, არის არადისკრიმინაციული, საჯარო და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული მხარისათვის.
ინდიკატორის (4.1.2.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი;
- ხელშეკრულებები მშობელთან;
- სკოლის ფეისბუქ გვერდი;
- სკოლის ვებ-გვერდი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს ახალი მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის კონკრეტული მექანიზმები, მათ შორის - მშობელთან კონსულტირება და მობილობით გადმოსულ მოსწავლესთან ინდივიდუალური გასაუბრება. სკოლის მოსწავლეებთან და დამრიგებლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ სკოლაში არსებობს კლასში ახალი მოსწავლის წარდგენის ტრადიცია: კლასის დამრიგებელი სწავლების დაწყების პირველ ეტაპზე მოსწავლეს აცნობს სკოლის ინფრასტრუქტურას, სასკოლო საზოგადოებას და შინაგანაწესით განსაზღვრულ წესებს.

სადამრიგებლო პროგრამებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, რაც ხელს უწყობს მათი სკოლაში ინტეგრაციისა და სოციალურ ადაპტაციის პროცესის ეფექტიან წარმართვას.

ინდიკატორის (4.2.1.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლა სწავლების დაწყების პირველივე ეტაპიდან ხელს უწყობს როგორც სსსმ მოსწავლეებისთვის, ისე ტიპური განვითარების მოსწავლეებისთვის ადაპტირებული სასწავლო გარემოს ფორმირებას. დირექციის წარმომადგენლებთან გამართული ინტერვიუსას აღინიშნა, რომ სკოლა პირველკლასელთა ადაპტაციის პროცესში იყენებს მათთვის მიმზიდველი რესურსების მომზადების პრაქტიკას, რაც ამცირებს სტრესს და ხელს უწყობს სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობას. დამრიგებლები და საგნობრივი მასწავლებლები მიზანმიმართულად უწყობენ ხელს მოსწავლეთა შესაძლებლობების გამოვლენასა და თვითრეალიზაციას. სკოლაში ტარდება შეხვედრები მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, სადაც მათ აცნობენ შიდა რეგულაციებსა და ქცევის წესებს, ასევე არსებული რესურსებით სარგებლობის პრინციპებს და ფორმალური და არაფორმალური განათლების შესაძლებლობებს.

სკოლის ერთ-ერთ ტრადიციად ჩამოყალიბებულია მომავალი პირველკლასელების მასპინძლობა, რომლის ფარგლებშიც წილკნის ბაღის აღსაზრდელებსა და მათ მშობლებს ეძლევათ შესაძლებლობა დაესწრონ სკოლის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებს, გაეცნონ სასწავლო გარემოს და მოემზადონ სასკოლო ცხოვრებისთვის.

ინდიკატორის (4.2.1.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სასწავლო პროცესის ეფექტიანობისა და მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით, დაწესებულება უზრუნველყოფს საკონსულტაციო ფორმით დახმარებას მოსწავლეთათვის.

სკოლა სასწავლო პროცესში იყენებს განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს - მათ შორის თვითშეფასებას, ურთიერთშეფასებას, მასწავლებლის ზეპირ და წერილობით უკუკავშირს. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს მოსწავლეთა სწავლის პროცესის გააზრებას, მოტივაციის ამაღლებას და ინდივიდუალური შედეგების გაუმჯობესებას.

სკოლის ელექტრონული ჟურნალი უზრუნველყოფს მოსწავლეთა და მათი მშობლების დროულ ინფორმირებას შეფასებისა და აკადემიური პროგრესის შესახებ, რაც ზრდის სწავლების პროცესის გამჭვირვალობას.

დირექციასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა რემედიაციის პროგრამის განხორციელებას ამ ეტაპზე გეგმავს მხოლოდ იმ მოსწავლეებთან, რომლებმაც მიიღეს არადამაკმაყოფილებელი შეფასება.

სკოლას მიეცა რჩევა, დოკუმენტურად განსაზღვროს რემედიაციის პროგრამის მიზნები, პროცედურები და შეფასების ფორმატები. ასევე სასურველია, პროგრამა მოიცავდეს იმ მოსწავლეებზეც ზრუნვას, რომლებიც სწავლის პროცესში აწყდებიან სხვადასხვა სირთულეს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებების მხარდაჭერა.

ინდიკატორის (4.2.1.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, მათ შორის კანონით გათვალისწინებული უფლებების რეალიზების მიზნით. აღნიშნული მექანიზმები გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და სამართლებრივ შესაბამისობას.

მოსწავლეთა სკოლის ცხოვრებაში ჩართულობის ერთერთ მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლა ხელს უწყობს თვითმმართველობის საქმიანობის განვითარებას და უზრუნველყოფს თვითმმართველობის არჩევნების ორგანიზების მხარდაჭერას.

მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლებთან გამართული ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა კანონმდებლობის მოთხოვნების სრული დაცვით, რაც მიუთითებს სკოლის დემოკრატიული მართვის პრინციპების დაცვასა და მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობაზე.

ინდიკატორის (4.2.1.4) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლაში მიმდინარეობს არაფორმალური განათლების მხარდამჭერი პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინტერესებისა და ინიციატივების განვითარებას. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს თავისუფალ სივრცეებს, სადაც მათ შეუძლიათ იმსჯელონ და გაანალიზონ ინოვაციური იდეები.

დირექციის წარმომადგენლებთან ინტერვიუსას დადგინდა, რომ სკოლაში ფუნქციონირებს ცეკვის წრე, ასევე, სხვა შემოქმედებითი და სპორტული აქტივობები. მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით ორგანიზებულია სხვადასხვა საინფორმაციო შეხვედრები და სასწავლო პროექტები.

აქტივობების ამსახველი მასალები რეგულარულად ქვეყნდება სკოლის ოფიციალურ გვერდსა და სოციალურ ქსელებში. მაგალითისთვის:

- კონფერენცია თემაზე „ვეფხისტყაოსანი“;
- სპორტული შეჯიბრებები მინიფეხბურთსა და „მხიარულ სტარტებში“;
- მოსწავლეთა მიერ დამზადებული ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა;
- საინფორმაციო შეხვედრა თემაზე *„ბულინგი და მისი პრევენცია“.*

მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობას აქტიურად უჭერს მხარს სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, რომელიც კოორდინაციას უწევს მოსწავლეთა ჩართულობასა და დემოკრატიული მმართველობის კულტურის განვითარებას.

სკოლაში ჩამოყალიბებულია დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული სასკოლო გარემო, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა თვითგამოხატვასა და პასუხისმგებლობის განვითარებას.

ინდიკატორის (4.2.1.5.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, მოსწავლეთა უკუკავშირის საფუძველზე ახორციელებს მომსახურების გაუმჯობესებას. მოსწავლეთა, მათი მშობლების ან კანონიერ წარმომადგენელთა უკუკავშირის მისაღებად სკოლა იყენებს კითხვარებს,

რომლებიც მიზნად ისახავს მიწოდებული სერვისების ხარისხის შეფასებას. აღნიშნული პროცესის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, სკოლაში ფუნქციონირებს საჭიროებების შემსწავლელი ჯგუფი.

ინდიკატორის (4.2.1.6) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ბრძანება მოსწავლეთა ადაპტაციის წესის დამტკიცების შესახებ;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმი.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლამ გაითვალისწინა გაცემული რეკომენდაცია და უზრუნველყო მოსწავლეთათვის კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობა. აღნიშნული მომსახურება ხელმისაწვდომია მე-9-დან მე-12 კლასის თითოეული მოსწავლისთვის, მათი ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები, მათ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, გაფორმებული შემდეგ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან: სსიპ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი", სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მისაქციელის საჯარო სკოლა, სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N3 საჯარო სკოლა, შპს „ევროპის უნივერსიტეტი" და საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი.

დირექციის წარმომადგენლებმა, მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა წარმოადგინეს ინფორმაცია აღნიშნული პარტნიორობის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შესახებ, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა კარიერული განვითარებისა და პროფესიული ორიენტაციის პროცესის გამყარებას.

ინდიკატორის (4.2.2.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ამ მიზნის განხორციელებაში სკოლას ეხმარება როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორები, სკოლა თითოეულ მოსწავლეს სთავაზობს კარიერული დაგეგმვისა

და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობას, რაც გამოიხატება იმაში, რომ სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებლების სამოქმედო გეგმებში გაწერილია მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიზნით გაკვეთილები და საუბრები, დიდ ყურადღებას უთმობენ მოსწავლეთა მხრიდან ინტერესებისა და შესაძლებლობების გამოკვეთას. კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერის სისტემის ფარგლებში მე-9, მე-10, მე-11, მე-12 კლასების დამრიგებლები აქტიურად არიან ჩართული მოსწავლეთათვის შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნადი პროფესიების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და მოსწავლეთა ინტერესების გამოკვეთაში.

ინდიკატორის (4.2.2.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლამ მოსწავლეებისთვის შეთავაზებული კარიერული განვითარების სერვისის გაუმჯობესების მიზნით განახორციელა კარიერული განვითარების შესაძლებლობებისა და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების კვლევა; სკოლამ კვლევებიდან მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე გადახედა საკუთარ კარიერული განვითარების მომსახურების პრაქტიკას და მისი გაუმჯობესების მიზნით განახორციელა შესაბამისი ცვლილებები: სხვადასხვა საჯარო სკოლასთან, კოლეჯთან და უნივერსიტეტთან გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები.

ინდიკატორის (4.2.2.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ კოლეჯ ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრთან“, სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მისაქციელის საჯარო სკოლასთან, სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N3 საჯარო სკოლასთან, შპს ,,ევროპის უნივერსიტეტთან“, ,,,საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან„ გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის სსსმ მოსწავლეებზე იქმნება ისგ ჯგუფები, რომლის შეთანხმებაც ხდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. თითოეულ გუნდს ჰყავს კოორდინატორი-კლასის ხელმძღვანელი, რომელიც

უზრუნველყოფს ჯგუფის შეხვედრებს. განიხილება სსსმ მოსწავლეების მიღწევები და საჭიროებები, განისაზღვრება შეხვედრის თარიღები. ყოველ შეხვედრაზე ფორმდება ოქმი, რომელიც ინახება სსსმ მოსაწავლის პირად საქმეში (გუნდის შეხვედრები იმართება წელიწადში მინიმუმ ოთხჯერ.) სასწავლო წლის დასაწყისში სპეციალური მასწავლებლები შეიმუშავებენ წლიურ სამუშაო გეგმებს მასწავლებლებთან და დამრიგებლებთან თანამშრომლობით. მასწავლებლები თავის მხრივ ადგენენ ისგ გეგმებს მოსწავლეების საჭიროების გათვალისწინებით. სპეციალური მასწავლებლები ქმნიან ინტერვენციის, ქცევის მართვის და პროფორიენტაციის ხელშეწყობის მიზნით ტრანზიციის გეგმებს. ასევე სპეციალური მასწავლებლები მუშაობენ მოსწავლის შეფასების და სტატუსის შეჩერების წარმოებაზე. სასწავლო წლის მანძილზე სპეციალური მასწავლებლები და საგნის მასწავლებლები სსსმ მოსწავლესთან ახორციელებენ მონიტრორინგს გაწეული მუშაობის შესახებ. ასევე წლის ბოლოს სკოლაში იქმნება შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც აფასებს ინკლუზიური განათლების სფეროს.

ინდიკატორის (4.2.3.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სსსმ მოსწავლეებთან სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეების ძლიერი მხარე და საჭიროება. სპეციალური მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ მშობლებთან, აწვდიან რეკომენდაციებს. სპეციალური მასწავლებლები, საგნის მასწავლებლები და კლასის ხელმძღვანელი აქტიურად თანამშრომლობენ მესამე თაობის ისგ-ს ზოგადი ნაწილის შევსებისას. ყველა სსსმ მოსწავლისათვის შესრულდა ადაპტირებული კომპლექსური დავალება სპეციალური მასწავლებლების მხარდაჭერით. სპეციალური მასწავლებლები სსსმ მოსწავლეებთან მეცადინეობებს წარმართავენ შესაბამისი გეგმის და ცხრილის მიხედვით. მუშაობის პროცესში დაცულია ბალანსი აკადემიური და კოგნიტური უნარების შერჩევისას. გათვალისწინებულია თხრობის, კითხვის, წერის, კოგნიტური უნარების ხელშეწყობის, ასევე მულტიდისციპლინური გუნდის მიერ რეკომენდებული აქტივობები. სსსმ მოსწავლეების განვითარების მხარდასაჭერად სპეციალური მასწავლებლები ახორციელებენ პროექტებს.

ინდიკატორის (4.2.3.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სამეურვეო საბჭოს და პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები ისგ გეგმების დამტკიცების შესახებ.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- ინდ გეგმების შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ოქმები;

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებებს, მათ შორის ტრანსპორტის სერვისს, ცეკვის წრესა და კვების სერვისს. აღნიშნული მომსახურებები უზრუნველყოფილია შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოების მიერ მინიჭებული ნებართვების საფუძველზე.

ტრანსპორტის სერვისი უზრუნველყოფს მოსწავლეთა უსაფრთხო და დროულ გადაადგილებას სახლიდან სკოლამდე და პირიქით. კვების სერვისი უზრუნველყოფილია სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენური სტანდარტების დაცვით. ცეკვის წრე ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებასა და არაფორმალური განათლების ხელშეწყობას.

სერვისების განხორციელების პროცესში სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს უსაფრთხოების, თანასწორობისა და მოსწავლეთა ინტერესების დაცვას.

ინდიკატორის (4.2.4.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას. მოსწავლეებთან ერთად მათი მშობლები კლასის დამრიგებლებისაგან იღებენ ინფორმაციას, ეცნობიან დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების აქტივობებს, რის შემდეგაც მოსწავლეები თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე და მშობელთა ნებაყოფლობით განცხადებების საფუძველზე ერთვებიან სხვადასხვა აქტივობაში, რომლებსაც მხარს უჭერს სკოლა და უწევს მონიტორინგს

ინდიკატორის (4.2.4.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლა ითვალისწინებს უსაფრთხოების ყველა იმ ნორმის დაცვას, რომელიც მოსწავლის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს და მისი ინტერესების საფუძველზეა შეთავაზებული.მაგალითად, დამატებითი მომსახურების ცეკვის წრე ფუნქციონირებს განრიგის შესაბამისად. ხელმძღვანელი უზრუნველყოფს მოსწავლეთა დასწრების კონტროლს. განსაზღვრულია წრის ხელმძღვანელის ვინაობა, წრის მიზნები, კვირეული დატვირთვა და სხვა.

ინდიკატორის (4.2.4.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ცეკვის წრის ხელშეკრულება ;
- მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების დოკუმენტი -ბუფეტის ხელშეკრულება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

19.11.2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ქეთევან ბოტკოველი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: მაია ბუაძე